# საქართველო

ს. ქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის ორგანო.

**რედაქცია და კონტორა:** თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 11 რედაქცია და კანტორა ღიაა ყოველ დღე დილის 9 ს., ნაშუადღევის 2 და ნახ. საათამდის. ტელეფონი № 15—73. მისამართი დეპეშებისათვის: თბილისი „საქართველო" ფოსტის ყუთი № 76

**განცხადებანი:** განცხადება მიიღება ნაშუადღევის 2 საათამდის. სტრიქონი პეტიტი პირველ გვერდზე 15 მ. მე-4 გვერდზე—12 მ. სამგლოვიარო განცხადებანი 30 სტრიქონი—400 მ. 2 ნახ. საათის შემდეგ 200 მანეთით მეტი.

**ხელის მოწერა:** გაზეთი „საქართველო" ქალაქსა და ქალაქს გარეთ ღირს თვეში—300 მან. ცალკე №—10 მან.

ფასი 10 მან.

წელიწადი მეექვსე. შაბათი, ღვინობისთვის 30, 1920 № 125.



მოითხოვეთ ყველგან საუკეთესო ხარისხის

# კონიაკი

გაწმენდილი ჭურის არაყი და ტკბილი სასმელები დ. ი. კალანდაძისა

ბითუმად და ცალ-ცალკე თვით ქარხანაში ლაგერის (ვ გზლის) ქ. № 5.



ღრმად დამწუხარებულნი მშობლები: დედა დარია მამა ნიკოლოზი, და მარგო და პატარა ძმა ფარნაოზი აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ რომ კვირას 31 ს ღვინობისთვეს გადახდილი იქნება ნახევარ წლის წირვა და პანაშვიდი ქ. თელავში წითელ ხიდთან მამაცურათ დაღუპულის

**რეზო მაყაშვილის**

2—2 3220



ამხანაგობა

„პროვოდნიკი"

თბილისი სოლოლ. ქ. 4

**მიიღეთ ნამდვილი მარსელის საპონი**

გაიყიდება

ნაჭრობით



**სახელმწ. თეატრი.**

**ოპერა**

ოქტომბერის 30

ბალეტის საღამო მ. მორდკინისა

მუშებისთვის

ოქტომბრის 31

**თაისი**

ნოემბრის 1

**ვერტერი**

დასაწყისი სრული საღ. 8საათზე

ოპერის დირექ. ი. ეგლაზიშვილი.



**სახელმწიფო დრამის თეატრი.**

(ყოფილი არტისტიული—რუსთაველის პრ., № 21, ტელ. 8—07).

შაბათს, ოქტომბრის 30 ს

**სიცრუე** ვინნიჩენკოსი

დასაწყისი საღამოს 8 სათზე.

კვირას, ოქტომბრის 31 ს

**ოიდიპოს მეფე** სოფოკლესი

დასაწყისი საღამოს 8 და ნახ. საათზე

სამშაბათს, ნოემბრის 2-ს

1. **დარისპან ს გასაჭირი**
2. **ირინეს ბედნიერება** დ. კლდიაშვილისა

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.



მთავრობის საქმეთა სამმართველოს ესაჭიროება

**მბეჭდავ მანქანაზე მომუშავე**

ა. წ. 5 ნოემბერს დილის 10 საათზე მთავრობის საქმეთა სამმართველოში (მთავრობის სახლი რუსთაველის პროსპექტზე) დანიშნულია კონკურსი. კონკურსში მონაწილეობის მსურველთა თხოვნები მიიღება 30 ოქტომბრიდან ვიდრე 4 ნოემბრამდე.

1—3222 1


## რეზოლიუციები და სინამდვილე.

სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების თათბირი საქართველოში შექმნილ ეკონომიურ დაქვეითების გამოსწორებისათვის გრძელისგრძელ რეზოლიუციით დამთავრდა. რა არის აქ მოხსენებული?! რეზოლუციაში **დაწერილი** ყველაფერი, რისი შესრულება ყველა რიგიან სახელმწიფოს მმართველებისათვის სავალდებულო უნდა იყოს და რამაც ჩვენს კურთხეულ ქვეყანაში ვერ იქნა და ვერ მოიკიდა ფესვი! საუცხოვოდ ჩამოყალიბებული რეზოლუცია, როგორც მოსალოდნელი იყო, ფართო საზოგადოების ყურადღების გარეშე დარჩა, მან ვერ მოახდინა ვერავითარი ეფფექტი, რადგანაც „ობივატელი" დღესაც დარწმუნებულია, რომ არსებულ სოციალ-პოლიტიკურ ვითარებაში, იმ საერთო შემცდარ და მავნე წესებში, რომელშიაც საქართველო იმყოფება მენშევიკების ორმაგი მოღვაწეობის გამო, ცხოვრების გაუმჯობესებაზე ფიქრიც შეუძლებელია...

სოციალ-დემოკრატების გაბერილ რეზოლიუციაში ბევრი საუცხოვო რჩევაა თავმოყრილი—დაწყებული სახელმწიფო ბიუჯეტის წონასწორობის შემოღებიდან და გათავებული სამელიორაციო ზომებით. რა ბედნიერი იქნებოდა ჩვენი სამშობლო, რომ რეზოლიუციაში ჩაწერილ ყველა სიკეთეს მოსწრებოდეს! როგორის შურით დაგვიწყებდნენ ცქერას უცხო ხალხი, ჩვენს სიუხვესა და აყვავებულ წარმოებას რომ იხილავდნენ! საქართველო—მდიდარი, მაძღარი, ჭაობებისგან ამომშრალი, გაშენებული გალამაზებული—მოდი და ნუ შეგშურდება ასეთი ქვეყნის მდგომარეობა! და ყველა ამას გვპირდება მენშევიკების რეზოლიუცია...

მაგრამ... „ამაოა კანონების წერა, თუ მათ არ აღვასრულებთ". თვით სოციალ-დემოკრატების ოფიციოზი „ერთობა" ც დროებით გამოსთხოვებია ჩვეულ ოპტიმიზმს და ეკითხება თავის თავს: გატარდება ცხოვრებაში ნავარაუდევი ზომები ჩვენი რესპუბლიკის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის? მენშევიკების ორგანომ გამოცდილებით უწყის, რომ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში დღიდან მისი აღდგენისა, უამრავი ერთი მეორეზე ლამაზი სიტყვები თქმულა და ასეთივე რეზოლუციები დაწერილა, მაგრამ „ყველა ამის რეალიზაციაში, სიტყვის საქმედ ქცევაში, საქმიანობაში, საკმაო ფხას ვერ ვიჩენთ". სოციალ-დემოკრატების ოფიციალურ გაზეთს მეტის მეტად აშინებს, რომ სოციალ-დემოკრატიულ ყველა ორგანიზაციების „თათბირზე" შემუშავებული რეზოლიუცები ქაღალდზე დარჩება...

ჩვენ არამც თუ ვშიშობთ მხოლოდ, რომ კარგი რეზოლუციები მენშევიკურ საქართველოში განუხორციელებელი დარჩება, პირიქით დარწმუნებული ვართ, რომ ყოველდღე ა რძნობ საბუთებს გვითავაზებს ეკონომიურ ვითარების გაუარესებისას...

ვისთვის დაიწერა ეს ბევრის დამპირებელი რეზოლუცია? ვინ უნდა ასრულოს მაში აღნიშნული ღონისძიებანი? განა ამ რეზოლუციის ავტორები ის პერსონაჟები არ არიან, რომელნიც საქართველოს ტრაგიკომედიაში ასეთს აქტიობას იჩენენ? ვინ ჰყავდათ ამ ხნობამდე ხელისშემშლელნი?

რათ მოაგონდათ ყველა ეს სიბრძნე დაუზარებლად მარტო მაშინ, როდესაც საქართველო ყოველ მხრივი პროსტრაციის წუმპეში ყელამდე ჩაეფლო...

მართლაც, მიმოიხედეთ ირგვლივ და დარწმუნდით, რომ ყველა ის საშინელებანი, რომელთაც ადგილი აქვთ დღეს საქართველოში, სოციალ-დემოკრატების უახლოესი მონაწილეობით ხდება... საქართველოში ერთი ცენტრალური მთავრობა არსებობს, მაგრამ მისი ხელმწიფება თბილისით მთავრდება! დანარჩენი საქართველო დაყოფილია „სამთავროებად" იმ გამოკლებით, რომ დადიანებისა და გურიელების ნაცვლად იქ „სამართალსა ჰქმნიან" სოციალ-დემოკრატიული კოლექტივები, ეგრედ წოდებულ ერობების სახით, ხოლო როგორია ამ კოლექტივების „სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა", ამაზე მოგვითხრობდა ამას წინად გამოცემული მთავრობის თავმჯდომარის ცირკულიარი.

დღევანდელ საქართველოში ყველაფერი-ვულგარულად რომ ვთქვათ დომხალივით არეულია: არავინ იცის სად თავდება მისი კომპეტენცია და უფლება, არავის ესმის თავისი მოვალეობა, ყველა ბატონობს და ეჩხირება იქ, სადაც არ ეკითხება.

ადგილობრივ „თვითმართველობებმა" ნამდვილი „კარანტინებით" განაცალკევეს ერთიმეორისაგან საქართველოს სხვადასხვა კუთხე და ვიწრო ჩარჩოებში ამოახრჩვეს ხალხის ეკონომიური გასაქანი.

„საზოგადოებრივ" სპეკულიაციამ სული შეუხუთა რესპუბლიკას! საზღვარგარეთის „ტურნემ" გაანიავა ხალხის დოვლათი, უთავბოლო და ბოროტი მოხმარებით „უეცრად" გადიქცა რუსეთიდან დარჩენილი მილიარდების ქონება—და ყველა ამის შემდეგ სოციალ-დემოკრატებს შესწევთ გამბედაობა ქვეყნის უბედურება წარსულ მოვლენებს გადააბრალონ.

რა საჭირო იყო გრძელი რეზოლიუციების გამოტანა: ის არა სჯობდა, ამ ხანაგურად, ჩუმათ შეგეთვალათ თქვენი აგენტებისათვის, რომ რიგიანი და პატიოსანი ყოფაქცევა სახელმძღვანელო მორალად მიეღოთ სახელმწიფო მოვალეობის შესრულებისას?!

## საბჭოთა რუსეთისა და საბჭოთა აზერბეიჯანის კავშირი.

ბაქოს გაზ. „კომუნისტ"-ში გამოქვეყნებულია შემდეგი რადიო ცნობა მოსკოვიდან, რომელიც თბილისში არ მიუღიათ:

„საბჭოთა რუსეთმა და საბჭოთა აზერბეიჯანმა ურთიერთ შორის დასდვეს სამხედრო და ეკონომიური ხელშეკრულება; ამ შემთხვევაში ორივე მხარე ხელმძღვანელობდა იმ ღრმა რწმენით, რომ მხოლოდ ამ ორი მონათესავე რესპუბლიკის მჭიდროდ გაერთიანებითა და საერთო ძალების მობილიზაციით შეიძლება საერთო მტრის,—იმპერიალისტური ბურჟუაზიის წინა ღმერთ ბრძოლაში გამარჯვება. თანახმად ხსენებულ ხელშეკრულებისა ორივე მხარეს ექნება ერთი სამხედრო ორგანიზაცია, ერთი საგარეო ვაჭრობა, რკინის-გზის ტრანსპორტი, და ფოსტა ტელეგრაფი".

## სომხეთი და საბჭოთა რუსეთი.

ოქტომბრის 27. (რადიო მოსკოვიდან). ცნობა იმის შესახებ თითქოს საბჭოთა რუსეთის მთავრობას, რაიმე საშიში ულტიმატუმი წარედგინოს სომხეთისათვის სიმართლეს არ შეეფერება. საბჭოთა რუსეთი ცდილობს მშვიდობიანობის ჩამოგდებასა და მისი პოლიტიკა მახლობელ აღმოსავლეთშიც მხოლოდ ამ მიზნისკენ არის მიმართული. რუსეთის წინადადებას არ ჰქონია არავითარი კავშირი სამხედრო ხასიათის საკითხთან. ოსმალების შეტევას სომხეთზე, არავითარი კავშირი არ ჰქონია საბჭოთა რუსეთის პოლიტიკასთან. რუსეთის მთავრობას შეეძლო მხოლოდ შუამდგომლობა გაეწია, მაგრამ ამ შემთხვევაში რუსეთის უფლება აქვს მოელოდეს სომხეთიდან, საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ მიმართულ ანტანტის აგრესიული პოლიტიკის უარისყოფას.

(რ. ს. ფ. ს. რ. ცნობა)

## პოლონეთი და საბჭოთა რუსეთი.

ვარშავა. გაზ. „ტაიმსის" კორესპონდენტის გადმოცემით, პოლონეთის საზოგადოებასა და სარდლობას შორის საბჭოთა რუსეთთან დროებითი ზავის შესახებ უკმაყოფილება ჩამოვარდა, თან და თან იმარჯვებს ის აზრი, რომ მოსკოვის მთავრობასთან შეუძლ., როგორც მუდმივი, ისე დროებითი ზავის დადება. („ზიბის ცნობა")

# ქრონიკა.

## ს. დ. ს. ს. გაზ. ცნობები.

**გერმანიის ფინანსიური მდგომარეობა.**

ბერლინი. გერმანიის ფინანსიური პრესა იუწყება, რესპუბლიკის ფინანსიური მდგომარეობის გაუმჯობესობის შესახებ. უკანასკნელ დღეების განმავლობაში ვალიუტა თანდათან მაღლა იწევს. ფინანსიური მდგომარეობის გაუმჯობესება ერთის მხრივთ აიხსნება უცხო ვალიუტის თანხის გადიდებით, რომელიც გერმანიის მთავრობის განკარგულებაში იმყოფება. 1919 წ. 4 უკანასკნელი თვის განმავლობაში გერმანიის მთავრობის განკარგულებაში ყოველ თვიურად უცხო ვალიუტით 700 მილიონ მარკამდის შემოდიოდა. 1920 წლის იანვარში ამ თანხამ 935 მილიონ მარკას მიაღწია, თებერვალში ერთ მილიარდ და 800 მილიონს და მარტში კი სამ მილიარდ მარკას. პრესა აღნიშნავს, რომ თუმცა გერმანია ბევრ რამეში დაჩაგრულია, მაგრამ უცხო ვაჭრობაში იგი სიცოცხლის უნარს იჩენსო. იმუშავებენ ფართო გეგმებს მთელი ქვეყნის ყოველ კუთხეში გერმანიის კომერციულ სააგენტოების მოწყობის შესახებ. ზოგი გაზეთი აღნიშნავს, რომ გერმანია უცხო ბაზარზე დიდ შედეგებს მიაღწევდა, რომ გერმანიის ზოგიერთ ფირმას აუსრულებია დადებული პირობა. ამ პირობათა აუსრულებლობის გამო დაზარალდეს ჰოლანდიისა და შვეიცარიის მრეწველები.

**ფრანგულ პრესის შეკითხვა კამენს.**

პარიზი. საფრანგეთის პრესა შემდეგის კითხვით მიმართავს: რათ ხდება ის, რომ ბოლშევიკების დამცველი კამენი არ უხსნის საფრანგეთის მუშათა კლასს იმ სამწუხარო როლს, რომელსაც რუსეთში „ჩრეზვიჩაიკები" თამაშობენ. რათ არ აქეყნებს კამენი იმ აუარებელ მსხვერპლს, რომელიც შეიწირა სისხლით მოსვრილმა „ჩრეზვიჩაიკებმა", რომლებითაც მოფენილია საბჭოთა რუსეთს ტერიტორია?

**ბოლშევიკების პროპაგანდა ესტონეთში.**

პარიზი. „ტანა" იუწყება: ესტრენთის მთავრობამ გამოარკვია, რომ მოსკოვიდან ესტონეთში გაუგზავნიათ 100 მეტი ფარული აგენტი, რომლებმაც ესტონეთში ბოლშევიკური გადატრიალება უნდა მოახდინონ. ყოველი აგენტი ტვეში იღებს 12,000 ეტონურ მარკას. ამ უკანასკნელ ხანებში გაფიცულმა რკინის გზელებმა ბოლშევიკების აგენტებიდან მიიღეს მნიშვნელოვანი დახმარება ფულით და ისინი ყოველ მხრივ სცდილობდა არა თუ მარტო ხელი შეეწყოთ გაფიცულთათვის, არამედ სისხლის მღვრელი შეტაკებებიც კი გამოეწვიათ.

**წყალქვეშა ტანკები.**

ლონდონი. „დეილი მეილი" იუწყება: საზღვარ სამინისტროში იმუშავებენ წყალქვეშა ტანკების გაკეთების პროექტს გეგმას ადგენს გენ. ესტეინი, რომელიც ომის დროს ტანკების რაზმს ხელმძღვანელობა. წყალქვეშა ტანკების ცდამ მშვენიერი შედეგები მოიტანა.

**საბერძნეთი.** კრეისერ „პალატა"-ზე საბერძნეთის ფლოტის დათვალიერების დროს არეულობა მოხდა. მოკლულია ორი ოფიცერი კომანდა ნაპირზე ჩამოვიდა, მათ შეუერთდა პოლიცია და ჟანდარმერია. მანიფესტანტები დადიოდენ ლოზუნგით: „ქირს ვენიზელოსის საალყო წესებით."

**რუმინეთში.** რუმინეთში საერთო გაფიცვები გამოცხადდა. ამის საპასუხო მთავრობამ სახელმწიფოში წესები გა-

# დღეს.

ბესარაბია რუმინეთს შეუერთდა.

საბერძნეთის მეფიდ იქნება პრინცი პავლე.

ბოლშევიკური ცნობით, სომხეთისადმი წარდგენილ ულტიმატუმთან საბჭოთა რუსეთის მთავრობის პოლიტიკას საერთო არაფერი ჰქონია.

აზერბაიჯანსა და საბჭოთა რუსეთს უკანასკნელი ხელშეკრულების ძალით საერთო სამხედრო ორგანიზაცია და საერთო ტრანსპორტი ექნებათ

## წ ე რ ი ლ ე ბ ი

მეთაური: რეზოლიუციები და სინამდვილე.

ფურცლები.

ფელეტონი; გ. გვაზავა: ხელშეკრულება ერთა ლიგისა.

ალ. ასათიანის სიტყვა.

ჩვენი კორესპონდენტები: ზესტაფონი.

---

მოაცხადა. სოციალისტურმა პარტიამ მიმართა მუშებს გამოაცხადონ საერთო გაფიცვები, რადგან მთავრობამ სოციალისტთა მემორამდუმი არ განიხილა პირველად გამოვიდნენ რკ. გზელები.

პოლონეთში. რკინის გზელების გაფიცვის შემდეგ ორ პალატიანი სისტემის შემოღების პროექტის გამო ვარშავის ყველა მუშა გაიფიცა. გაზეთები არ გამოდის მაღაზიები დაკეტილია ტრამვაის მუშაობა შეჩერებულია.

მოსკოვი ოქტ. 29. არხანგელსკის გუბ. მდ. პიუემაზე რომელიც მუშებს ერთვის აღმოაჩინეს რკინის მადნები, დიდ ძალი სპილენძი და სალესი ქვა. მოსკოვში ოქტ. 26 შესდგა რუსულ ავტო-გუთნის გამოცდა, რომელმაც მშვენიერი შედეგები მოიტანა. ცხენების სიმცირის გამო აფართოებენ დიდ ძალ ავტო გუთნის დამ ადებას.

მოსკოვი ოქ. 28 სამხედრო ცნობა. ყირიმის მხარეს ნიკოპოლის რაიონში ონეპრის მარცხენა მხარეზე ბრძოლაა. ჩვენ წამოვიყვანეთ ტყვედ მარკოვის პოლკის ერთი ბატალიონი. ციმბირში წითელი პარტიზანები სდევნიან ატამან სემენოვის ნაწილებს. ისინი მანჯური ასკენ იხევენ. წამოყვანილია მრავალი ტყვე. ხელთ ვიგდეთ 7 ჯავშ. მატარებელი, 73 ორთქ ავალი, 20 ვაგონი და სხვა.

**ვინ მართავს ყირიმს?** ვრანგელის თანაშემწე ჟანდარმერიის გენ. კლიმოვიჩი და მეფის დროის მინისტრი კრივოშეინი ვრანგელთან თავი მოიყარა მეფის ყოფილმა მსახურეებმა, ჟანდერმებმა და სხვა. ბნელმა ძალებმა წითელი ჯარის გაარცნო, გაანადგურეთ მარაშმელი აზნაურები კაპიტალისტები და მემამულეები. სამხრეთ ფრონტზე ჩვენი ჯარი ავიწროებს ბარონ ვრანგელის ჯარს. სამოქალაქო ძალა უფლება ყირიმში ვრანგელმა ჟანდარმერიის გენერალს კლიმოვიჩს გადასცა ვრანგელის ორჯვენა ხელი ყოფილი მეფის მინისტრი კრივოშეინი აშკარად აცხადებს, რომ რუსეთს მეფე ესაჭიროება. ვრანგელი დაჰპირდა ხალხს, რომ იგი გამოიყიდდა მემამულეთა მიწებს და მას გლეხებს გადასცემდა. ეს აშკარა სიცრუე გამოდგა მამულები ისევ მემამულეებს დარჩათ. ფეოდოსიის მაზრაში მიწის მოთხოვნის გამო დახვრიტეს 37 გლეხი, ყირიმის მუშებს გახუჭითხავათ ხვიცინ. ხოლო დღეებში ვრანგელმა დააპატიმრა მეძარჯვენე ესერები რადგან მათ გაბედეს და უთხრეს ბარონს, რომ რუსეთში საჭირო არ არის კვლავ მეფის ტახტის აღდგენაო. ეხლა ვრანგელის პროგრამა ნათელია: მას უნდა რუსეთში მეფობის დროის წესრიგი აღადგინოს. დაუბრუნოს მიწები მემამულეებს და ქარხნები—კაპიტალისტებს, საფრანგეთის მიერ წაქეზებული ატამანი პეტლიურა და ბალახოვიჩი ვრანგელისაგან მიიხწიე ნ

რუსეთს და უკრაინის ეს მტრებიც უნდა გავანადგუროთ.-სავ. საქ. კომ. ჩიჩერინი საფრანგეთის მთავრობის დელ. გაგზავნილ ნოტაში ჰკიცხავს საფრანგეთის მთავრობას, რომელმაც მოაწყო ომი დასავლეთ ფრონტზე და რომელმაც მშრომელ მასას მრავალი უბედურება მოუტანა. დროებით ზავზე და წინასწარ ზავზე ხელის მოწერის შემდეგ უკრაინის ატამან პეტლიურას ჯარი, რომელიც პოლონეთის ჯარის განყოფილ ნაწილს წარმოადგენს და ემორჩილება პოლონეთის სარდლობას განაგრძობს რუსეთისა და უკრაინის წინააღმდეგ მოქმედებას. როგორც სჩანს საფრანგეთის მთავრობა, რომელმაც პოლონეთს რუსეთთან ომი დააწყებინა, ეხლა დახმარებას უწევს. პეტლიურას ჯარსა და ბალახოვიჩისა და სავინკოვის ბრბოებს, რომელთაც თვით არა აქვთ საშუალება ომის გაგრძელებისა, ჩიჩერინი გამოსთქვამს რწმენას, რომ საფრანგეთის ხალხის ფართე მასსა ბოლოს მოუღებს საფრანგეთის მთავრობის პოლიტიკას, რომელსაც კაცობრიობისთვის მოაქვს უბედურება და სამწუხარო შინლებაო.-იაპონიის ჯარმა ჩინეთის ნაპირებზე მდებარე ადგილები დაიკავა. იაპონელები ემზადებიან, რათა დრო იხელონ და ციმბირზე. შემოტევა დაიწყონ. ინგლისის დამოუკიდებელი მუშათა პარტია აფრთხილებს ინგლისის პირველ მინისტრს ლოიდ ჯორჯს, რომ ის პასუხისმგებელი იქნება იმ ბოროტმოქმედებისა და სიმკაცრეში, რომელსაც იჩენს ირლანდიაში ინგლისის ჯარი. ტრანსილვანიასთან შესწყდა რკ. გზით დამოკიდებულე'ა.

ტემეშვარში ჯარის კაცთა უმეტესი ნაწილი) მუშებს მიემხრო.-რუმინეთის მთავრობამ მიმართა სავ. საქ. კომ. ჩიჩერინს ნოტით, რომელშიც იმეორებს თავის წრფელ სურვილს დაიწყოს მოლაპარაკება საბჭოთა რუსეთთან. მიაჩნია რა საბჭოთა რუსეთს ზოგიერთ დებულება საკამათოთ რუმინეთის მთავრობა წინადადებას იძლევა სიწორით გამოარკვიონ ეს საკამათო საკითხები, რათა გზა მოძავალ შეთანხმებისაკენ, რომელიც გულწრფელად სურს რუსეთსაც და რუმინეთსაც, შემსუბუქებულ იქნეს, ამ ნოტაში განიმეორა სურვილი რუსეთის და უკრაინის მთავრობისა რუმინეთთან კეთილმეზობლურ დამოკიდებულების დამყარების შესახებ. ჩიჩერინი აღნიშნავს: სამწუხაროთ ჩვენ უნდა განვაცხადოთ ის, რომ რუმინეთი თავის ტერიტორიაზე გატარების ნებას აძლევს იმ სამხედრო ძალებს რომლებიც ყირიმის კონტრ რევოლიუციონერებთან შესაერთებლად მიდიან ამგვარად სავსებით სინამდვილეს არ შეიცავს რუმინეთის მთავრობის ცნობა, ეს პირველი საშუალება არის ვრანგელის დასახმარებლად.

## ლიონის ცნობები.

ეროვნულ თავდაცვის უმაღლეს საბჭოს კრება. ეროვნულ თავდაცვის უმაღლეს საბჭოს ოთხშაბათის სხდომის შემდეგ პრესისათვის არავითარი ოფიციალური ცნობა არ გადაუციათ. ეს იმის მაჩვენებელია, რომ სამხედრო ბეგრის შესახებ საბჭოს არივითარი დადგენილება არ გამოუტანია.

დუნაის სახელმწიფოთა კონფერენცია. დუნაის სახელმწიფოთა კონფერენცია ოქტომბრის 27 შესდგა. იმსჯელეს ნავთსადგურთა შორის მიმოსვლის შესახებ. ამ საკითხის გადაწყვეტა შემდეგი სხდომისათვის გადასდვეს. კონფერენციამ იმსჯელა აგრეთვე თავისუფალ ნავთსადგურებსა და ზონებზე. მეორე სხდომა ოქტომბრის 29 შესდგება.

საბერძნეთში. საბერძნეთის მთავრობის ინსტრუქციის თანახმად ბერნში მყოფმა საბერძნეთის ელჩმა პრინც პავლეს თანაგრძნობა განუცხადა და გადასცა რომ ტახტი მან უნდა დაიკავოს

მემაღაროეთა გაფიცვა ინგლისში. ,,პტი პარიზიენი'' სწერს: ქვანახშირის წარმოებაში კრიზისი გრძელდება. მდგომარეობა გაუმჯობესდა, მაგრამ შეთანხმების შესახებ უკანასკნელი სიტყვა ჯერ არ თქმულა.

**რუმინეთი და ბესარაბია.**

ბესარაბიის შეერთება რუმინეთთან. ხუთშაბათს ხელი უნდა მოეწერათ ამ ხელშეკრულებაზე, რომელიც სამუდამოდ უზრუნველჰყოფს რუმინეთის სუვერენიტეტს ბესარაბიაზე. როგორც კი აღსდგება რუსეთის მთავრობა. მას წინადადება მიეცემა მონაწილეობა მიიღოს ამ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერაში.

გერმანია და ლიტვა. ლიტვის ტერიტორიაზე გამოაჩნდენ გერმანელ მოხალისეები. საეჭვო არ არის, რომ ისინი გერმანიის ფულით მუშაობენ, ისინი აღდგენენ რაზმებს ლიტვის ლაშქრის სახელწოდებით აღმოსავლეთ პრუსიაში აგროვებენ ცხენებს, სამხედრო მასალის და შეიარაღებულ მოხალისეებს. იუწყებიან, ლიტვაში დემობილიზაციით ჯარისკაცებს მოუწოდებენ, რომ მოხალისეებს შეუერთდენო.

**საფრანგეთი და ინგლისი.**

საფრანგეთის პრესა აკრიტიკებს ინგლისის მთავრობის გადაწყვეტილებას იმის შესახებ. რომ ვერსალის ხელშეკრულების თანახმად არა სურს, რომ ინგლისს ეკონომიურ და ფინანსიურ საკითხებში რეპრესიულ ზომებს მიმართოს.

## გერმანული ცნობები.

**გერ. სოც.-დემ. მოწოდება.**

,,ფორვერტსი'' ბეჭდავს სოც. დემ. პარტიის კომიტეტის მოწოდებას, რომლით პარტია მოუწოდებს თავის წევრებს დაეხმარონ გერმანიის საწინააღმდეგოთ მოწყობილ შეთქმულების აღმოჩენაში. მოწოდებას ეჭვი აქვს მთავრობის ძლიერებაში. რომ იგი ვერ გაატარებს მაღაროების ნაციონალიზაციას და აცხადებს. სოც.-დემ. პარტიის ვალია გავლენა მოახდინოს საზოგადოებრივ აზრზე და ამგვარად დასძლიოს კაპიტალისტებისა და მაღაროთა მესაკუთრეების წინააღმდეგობაო.

**გაფიცვას დასრულება.**

ბრემენში სახელმწიფო და სამრეწველოების მუშათა გიფიცვა დასრულდა.

**გერმ. ეროვნული პარტიის ყრილობა.**

ჰანოვერში დასრულდა გერმანიის ეროვნული პარტიის ყრილობა ყრილობამ მიიღო რეზოლიუცია, რომელიც არკვევს იმ პრინციპებს, რომელსაც უნდა დაეყრდნოს გერმანიის ეროვნული კულტურული და სახელმწიფოებრივი პოლიტიკა. რეზოლიუცია ყველაზე მეტს ყურადღებას აქცევს მას, რომ სასოფლო მეურნეობის ხელის შეწყობა მთავარი ფაქტორია გერმანიის ეკონომიური ცხოვრების აღორძინებისთვის.

## რუსეთის ცნობები

მოსკოვი. ოქტომბრის 30. პროლეტარიატის კონტრიერიშები, „პრავდას" მოწინავე სწერს: ავიშმერი ანტანტა ისევ აგროვებს ძალებს საბჭოთა მთავრობის დასამხობათ და მონარქიის აღსადგენათ. საფრანგეთის განაპირა სახელმწიფოებს ჩვენს წინააღმდეგ ამხედრებს, ხელს უწყობს სავინკოვის, ჩაიკოვების და ბალახოვიჩების ავანტიურას. ხალხთა ლიგა ლოცავს ყველა ავან ტიურისტებს. ინგლისის მსოფლიო ბურჟუაზიამ გადასწყვიტა მოსპოს რუსეთის რევოლიუცია. ამ შემოტევაზე პროლეტარიატი ძლიერის კონტრ-იერიშით უპასუხებს. ინგლისის მემაღაროეთა გაფიცვა, პანიკა, ინგლისის ბურჟუაზიის, გერმანიის და საფრანგეთის გაფიცვების ტალღა და კლასთა ბრძოლა იტალიაში ყველა ეს ერთად აღებული წარმოადგენს საბჭოთა რუსეთის დაცვას მსოფლიო იმპერიალიზმის ახალ შემოტევისაგან ამ ჟამად მილიონი მაღაროს მუშაა გაფიცული. რკინის გზელებიც ფიქრობენ გამოსვლას. ბრძოლას წმინდა კლასიური ხასიათი აქვს. მთავრობისთვის ძნელი წარმოსადგენია ინგლისის პროლეტარიატის გენერალური რეპეტიციის შედეგები. ინგლისის თანამედროვე შინაური მდგომარეობამ ანტი-საბჭოთა სახელმწიფოების რიგიდან გამოიყვანა იგი. მას ალარ სცალია საბჭოთა რუსეთისათვის, ოღონდ კი თავის მუშებს გაუმკლავდეს. იტალიაც კლასთა ბრძოლის დაწყების წინ სდგას, ზოგიერთ ადგილას პოლიციასთან შეტაკება ხდება. ხელთ იგდებენ ქარხნებს დაწესებულებათა თავზე რევოლიუციის დროშები მოჩანს. საფრანგეთის მუშები ინგლისისა და იტალიის მოძრაობის გავლენით თანდათან ილვიძებენ. გერმანიის წითელი რაზმი განხორციელებას იწყებს ასეთია პროლეტარიატის პასუხი ბურჟუაზიის შემოტევაზე. გაზ. „იზვესტია" მოწინავე წერილში სწერს: „ინგლისის მემაღაროეთა გაფიცვა ჯერ არ დასრულებულა, მაგრამ შეუძლებელია ეხლავე დავინახოთ მისი ცუდი დაბოლოება. ფიქრობდენ, რომ გაფიცვები გავრცელდებიან რკინის გზების, ტრანსპორტისა და ლითონის მომუშავეებზე. ეს გრანდიოზული მუშათა მოძრაობა რაიმე სპეციალურ პოლიტიკურ ამოცანას არ ისახავდა მიზნათ და ინგ. მუშათა ამქარის ეკონომიური ინტერესების ფარგლებს არ გადასცდენია. არ არის პოლიტიკური მიზნები. არის მხოლოდ მოთხოვნილება ხელფასის მომატებისა. მოძრაობის სათავეში სდგანან ყვითელი სოციალისტ გაიცემლები, რომლებსაც არა ერთხელ გაუყიდიათ მუშათა ინტერესები და შეთანხმებ ან ბურჟუაზიას. ყვითელ ლიდერების მიზანია, რომ მუშები საბრძოლველათ არ გამოუშვან თუ ისინი მაინც გამოვლენ მიყიდონ ბურჟუაზიას. ეხლა ეს ლიდერები ყოველ ღონეს ხმარობენ შეაჩერონ მოძრაობა, რკინის გზელებმა გამოსვლებზე უკვე უარი განაცხადეს, მემაღაროებს აფრთხილებენ გონიერება გამოიჩინონ. ისინი მოლაპარაკებას იწყებენ ლოიდ ჯორჯთან და ამით უსპობენ მუშათა კლასს შესაძლებლობას, რომ იგი სასტიკათ შეებრძოლოს ბურჟუაზიას.

## ინგლისური ცნობა.

**ევროპა და რუსეთი.**

ლონდონი. ყოველ კვირეულ გაზეთ „აგალ ევროპაში" მოთავსებულია ჯორჯ გლაზგოს წერილი ინგლისის პოლიტიკური ხაზის შესახებ. წერილში აღნიშნულია: ინგლისის პოლიტიკა შემდეგ საერთო პრინციპებზეა აგებული: ევროპა არის მთლიანი პოლიტიკური სხეული. მისი დანაწილება გავლენას ახდენს მთელ ორგანიზმზე. უნდა გვახსოვდეს, რომ ევროპა სავსებით ვერასოდეს ვერ გამომრთელდება, თუ გერმანია და რუსეთი გამორიცხული იქნა ევროპის სახელმწიფოებიდან. ინგლისი ფიქრობს, რომ საფრანგეთი ეკონომიურათ ვერ გაძლიერდება, თუ გერმანია და რუსეთი არ იქნა შეყვანილი ევროპის საერთო სამეურნეო სისტემაში, ბოლშევიზმი ვერ აფრთხობს ინგლისს, ინგლისელები დარწმუნებულნი არიან, რომ რუსეთთან ზავის დადება საუკეთესო საშუალება იქნება ბოლშევიზმის მოსასპობად და რუსეთში კანონიერებისა და წესიერების აღსადგენად. ინგლისი დარწმუნებულია, რომ საზავო პოლიტიკა რუსეთის მიმართ უფრო მეტს შედეგს მოიტანს, ვიდრე სამხედრო პოლიტიკა. ინგლისი იმ თვალსაზრისზე სდგას, რომ ევროპაში რაც შეიძლება მალე უნდა დამყარდეს ნამდვილი მშვიდობიანობა, თუ კი ევროპის ცივილიზაციის დაღუპვა არ სურს. მშვიდობიანობის დროს ბოლშევიზმის გავრცელების შიში უფრო ნაკლები იქნება, ვიდრე ომიანობის დროსო.

**სნოუდენის წიგნი.**

ლონდონი დაიბეჭდა და გამოვიდა მისს სნოუდენის წიგნი ,,ბოლ. რუსეთში მგზავრობის'' სახელწოდებით. სნოუდენი სწერს: ბოლშევიზმის შესახებ მე განსაზღვრული შეხედულება მაქვს: სიმართლე ბოლშევიზმის შესახებ ორ უკიდურეს შეხედულებათა შორის არსებობს. ყველაფერი ის, რაც რუსეთში თქმულა და გაკეთებულა არ არის არც გენიალური, არც მეტისმეტი კარგი, მაგრამ ბევრი რამ არც ისე ცუდიაო. სნოუდენს სწამს, რომ საბჭოთა რუსეთის მმართველნი შეიგნებენ თავის შეცდომებს. ამის საუკეთესო საშუალება კი იქნებოდა რუსეთის საერთაშორისო ოჯახში ჩარიცხვა. მაგრამ ამასთანავე სნოუდენი კიცხავს რუსეთში უმცირესობის მიერ ძალა უფლების ხელში ჩაგდებას და ფიქრობს: ოქტომბრის გადატრიალება, რომ არ მომხდარიყო. რუსი ხალხი მრავალ უბედურებას აიცდენდაო.

## საბერძნეთის მისიის ცნობები.

**საბერძნეთის მეფის გარდაცვალების გამო.**

**გარდაცვლა და დაკრძალვა.**

ელლინთა მეფე ალექსანდრე გარდაიცვალა ღვინობისთვის 25-ში. დაკრძალვა მოხდება ღვინობისთვის 29 ში ათინაში.

**პარლამენტის სხდომა.**

ღვინობისთვის 28 ში ათინაში შესდგა საგანგებო სხდომა საბერძნეთის პარლამენტისა, ტახტის მემკვიდრეობის შესახებ.

გარდაცვლის გარდაცვალებისს რამდენიმე დღის წინ ათინაში ჩასულა დიდედა განსვენებულისა—ქვრივი გიორგი მეფისა ოლღა კონსტანტინეს ასული.

**მისიების თანაგრძნობა.**

ღვინობისთვის 28 ს ელლინთა საკოროლო მისიაში ინახულეს საბერძნეთის წარმომადგენელი ბ. სკეფერივი ყველა მოკავშირეთა და უცხო სახელმწიფო მისიათა წარმომადგენლებმა და თანაგრძნობა გამოუცხადეს მას მეფე ალექსანდრეს გარდაცვლის გამო.

## ,,ზიმის'' ცნობები.

**ჰეტმან სკოროპადსკი.**

სტამბოლი. ჰეტმან სკოროპადსკი დღეს გერმანიაში იმყოფება და როზენშტეინის კოშკში სცხოვრობ. მასთანვე სცხოვრობს უკრაინის სახალხო არისტოკრატიაც.

**ქემალის დაჭრა.**

სტამბოლი. მტკიცდება ხმები, რომ ქემალფაშა მძიმედ არის დაჭრილი.

**საფრანგეთი და ოსმალეთი.**

სტამბოლი. შესდგა ინტელიგენტთა ჯგუფი ოსმალეთის შინაგან საქმეთა მინისტრის რეზიდ ბეის მეთაურობით, რომელსაც მიზნად აქვს ოსმალეთისა და საფრანგეთის დაახლოვება.

**მონარქიული გაზეთების დახურვა**

სევასტოპოლი. გენ. ვრანგელის განკარგულებით დაიხურა მონარქიული გაზეთები „царъ колоколъ" და ,,русскій теремъ—''.

## სომხეთ-ოსმალეთის ომი.

**სომხეთის მისიისაგან.**

ოფიციალური ცნობა სომხეთის ლაშქრის მთავარი სარდლის შტაბისა.

სარიყამიშის მიმართულებით. ოქტომბრის 27. სწარმოებს ჩვენ მხედრავთა [illegible] მტრის ბანაკში.

[illegible] ოქტომბრის 26. იგდირის რაიონში სასტიკ ბრძოლების შემდეგ მტერი უკუგდებულ იქმნა დაკავებულ სოფლებ ზევითჩა ლუხჩიდან, იაიჯიდან მთის წვე ვლებ: გასიმ-ტიჩიდან, დიალიგ-დაშიდან, სოფლებ: ყარაკოჩილუდან, დაშბურუნიდან და სურუიმ:ნ დიბიდან. მტერმა დაიხია სოფ. ქვეითა ჩარუხჩის და კიულლიკთან მწვერვალ სოფ. არღაჯთან და მ იიან დამბურუნთან. ყარაკალინის ხიდთან ოქტომბრის 25 ნაშუადღევს მტერი შეტევაზე გადავიდა კარაკალინის ხიდის დამცველნაწილებზე. ბრძოლა გრძელდება.

**ზანგეზურის რაიონიდან.** მიღებულ ცნობების თანახმად თათრებს კვლავ განუახლებიათ თავდასხმა ტატევის რაიონში აჯანყებულ სომხებზე. თავდასხმა მოგერიებულ იქნა და 150 ტყვე წამოყვანილ იქნა, აგრეთვე ხელ ვიგდეთ 15 ტყვის მფრქვეველი და სხვა ტროფეები. მოგერიებულ იქმნა თათართა უკანასკნელი თავდასხმა ს. ფ. ანგელაუტთან და დიდი ზარალი მოუვიდათ მოკლულ-დ ხოცილ თა რიცხვით. ირკვევა რომ გერიუ ის ციხეში ბოლშევიკებს დაუხვრეტიათ ბევრი ადგილობრივი საზოგადო მოღვაწე.

**დახვრეტილნი ეუმბრში.**

სამხედრო საველე სასამართლომ ეუმბრში დახვრეტა მიუსაჯა სამ დეზერტირს. დადგენილება სისრულეში იქნა მოყვანილი, ორს კატორღა მისაჯა. სურმალში სამხედრო-საველე სასამართლოს დადგენილებით დახვრეტილ იქმნა ოთხი დეზერტირი.

სურმალინის მიმართულებით. ოქტომბრის 27 ს სალამოთი მტერი უკუგდებულ იქნა კარაკალინის ხიდიდან, რომელიც მათ ეკავათ.

# ფელეტონი.

**რკ ნის გზ ზე.**

გიმოგზაურნიათ უკანასკნელ დროს საქ რთველოს რკინის გზაზე? თუ არ გიმოგზაურნიათ, მე ურჩევ ყველას, ვისაც დიდი საქმე არ იწვევს:

ნუ დაადგებიან წ სვლას,

რადგან ან სრულებით ვერ წავლენ თბილისიდან, ხოლო თუ წავიდენ, ვინ უწყს როდის მივლენ დანიშნულ ადგილს.

სამწუხაროთ, მე თვით ვეხავინ მათ რა დღეზე და იმერეთისკენ წასვლა გადავწყვიტე.

სადგური. გრძელი, როგორც თვით დრო რკინის გზაზე მოგზაურობის; აუარებელი ხალხი—ყველა მიემგზავრება და მთელი ეს ხალხი კუდია პატარა სალაროთო კ სის. გაძრომა მიძრომით, თუ ორივე მკლავის მუშაობით იმდენი მოვახერხე, რომ გრძელი კუდის თავში მოვიქეცი და შეუდექი ლოდინს.

საბილეთო კასა ღიაა; ხალხი, როგორც სალი კლდე მაწვება. ვიცქერ მაგრამ რამდენიც არ დავაპირე პატარა სარკმელში შეხედვა, თეთრი ქაღალდები მიჰქონდათ გზას—

ეს საგანგებო „პროპუსკები" რიგს გარეშე

ბილეთის ასაღებათ

ერთი თუ გვიან ბილეთი მაინც ჯიბეშია და არხეინათ მივემართები ბაქანზედ, მაგრამ. . სწორეთ აქ იწყება ტანჯვავიაბა საქართველოს რკინის გზებზე მოგზაურობის.

მატარებელი ეს არის ჩამოაყენეს ბაქანზედ და ვიწყებ სეირნობას ერთი ვაგონიდან მეორეში... სულ ამაოდ—ადგილის იმედი არ შეიძლება რომ გქონ დეთ.

სამწუხაროთ მე არც დამფუძნებელი კრების წევრი ვარ, არც რკინის გზის მოსამსახურე და ჩემს ოჯახში არავინ არ მსახურობს ამ ბარაქიან უწყებაში—რკინის გზა ხომ მათი საკუთრებაა.

განსაკუთრებით უხვად სარგებლობენ ისინი ამ უწყებით, როდესაც ქალაქში სასურსათო კრიზისი, ხოლო უფასო რკინის გზა საშუალებას აძლევს უფასოდ ჩამოიტანონ სურსათი პროვინციიდან.

და თბილისის სადგურიდან გამართულია გრძელი მოგზაურობა მოსამსახურეთა ცოლების, დედების, დების, შვილების ცოლების და შვილ შვილების 5 ფუთი ხორბლის ჩამოსატანათ.

გაჭირვებას, რასაკვირველია, დახმარება უნდა, მაგრამ ამ დახმარებამ სხვა ხალხი არ უნდა ჩააგდოს გაჭირვებაში.

როგორც იქნა ერთ ერთ კუპეში მოვიკალათე—მაგრამ ეს საქმარისი არ არის!

გთხოვთ დაიცალოთ „კუპე"!..

რაშია საქმე? ვინ გვერეკება ასეთი ომით აღებულ ადგილიდან?

რკინის გზის ბობოლას განუზრახავს ჩვენი მატარებლით წასვლა

(ალბათ ყოველ მატარებელშია ასეთი ბობოლა) და ჩვენც იძულებულნი ვართ გზა დავუცალოთ ჩვენი დროის გმირს!

და ისევ ვიწყებთ უკვე ნაცად ამბავს ადგილის საძებრად?

მივაღწიე დანიშნულ ადგილს; მატარებელმა შორაპნის სადგურზედ მომიყვანა —აქიდან ვიწრო ლიანდაგით ჭიათურაში უნდა წავიდე; თბილისიდან აქამდე იმდენ ხანს მოუნდი მოგზაურობას, რომ ძველს წესიერ დროში ორჯელ ავივლიდი და ჩამოვივლიდი ამ გზას.

მაგრამ მაინც მიხარია, რომ მო... ამ სადგურს—რაც უნდა იყოს ერთი ... გადამეყარდა ზოლ[illegible] მ, მაგრამ რკინ[illegible] სი აგენტები სულ სხვა ნაირათ ფ ქრო ბენ და ტანჯვა-წვალება ს წ რეთ იწყება:

ძველად და არამც თუ ძველად ერთი თ ის წ ნ ე ა კ კი ვიდრე ბ ... მ ზეს" ... ქიშულის ... შესვლ ... და ამ გზაზე ორი, მგზავრებით ... დილი მატარებელი მაინც დადიოდა ... ქიათ, რადგან ძველად მის თხოვნაში იყო, ... მატარებლების რიცხვი გაადიდებიათ.

ეხლა ყველგან შემცირეს მატარებლების რიცხვი და რასაკვირველია ამ გზა მხოლოდ ერთი მატარებელი ერგო, ... რომ ეს მატარებელიც შეუ რდებელია ... არის ბათომ-თბილისის შუ ას არც ერ ... მატარებელთან და ისე დადის, როგორ ... რკინის გზის მოსამსახურეთ მოესურ ... ვებათ.

მგზავრები მთელი დღეები უცდიან ... ტარებელს, რომელიც დილ ს 4 საათ ... გადის შორაპნის სადგურიდან და ... მასზედ ვერ მოხვდით, მეორე დილამდე მოგიხდებათ ფეხზედ ცდა ცივ, ბინძ ... და ხალხით გაჭედილ სადგურის შენ ... ბაში, მაშინ როცა ბაქანზედ ორი ... რიგლა ვაგონი მაინც სდგას, სადაც ... იძლება ჩამოჯდეს მაინც კაცი!

რკინის გზის უწყებას ამ მგზავრებ ... მდგომარეობა რიგის აწუხებდა, რ ... ეხლა შევიდეს მის მდგომარეობაში.

მაგრამ ამაზედ უფრო გასაკვირი ... არის, რომ შორაპნის სადგურიდან ყ ... ველ დღე სამი საბარგო მატარებე ... მიდის საჩხერე-ჭიათურისაკენ და ყოვე ... მათგანს ორი სამგზავრო ვაგონი აბ ... დაკეტილი და ცარიელი. მაშინ რ ... დესაც ხალხი აღელვებული ითხოვ ... რომ ამ ვაგონებით გაისტუმრონ!

რკინის გზის უწყება ნამდვილი სად ... ტივით შეჰყურებს მათ ტანჯვას და ... მილით ხალხის გულის გასახეთქად ... რიელ ისტუმრებს ამ ვაგონებს!

მაგრამ გვეღირსა მატარებლის წას ... ლის დრო და საბილეთო კასა იღებ ... ხალხი ჯარივით ესევა მას... ,,კასირი 20—25 ბილეთს ჰყიდის და ხურავს თ ... ვის ფანჯარას, რადგან იგი უცდის თბ ... ლისის მატარებლით მოსულ მგზავრებ ... რომ ისინიც დააკმაყოფილოს.

აღელვებული ხალხი ითხოვს კასირი ... დან ბილეთებს, ხოლო იგი...

იწყებს ქადაგს, საქართველო მძი ... მდგომარეობის შესახებ როგორც ნა ... დვილი მენშევიკი—პროპაგანდისტი.

და ეს პროპაგანდისტი—მოხელე ... ავსებენ დღეს ყველა მატარებლის ყვე ... ლა ვაგონებს,

და რკინის გზაც მხოლოდ მათთვ ... არსებობს.

ლ. სარბიელი.

## რიკვიზიცია და რეკვიზიცია.

,,საქართველოს'' რედაქციამ ქუთაისიდან მიიღო შემდეგი დეპეშა:

ქალაქის თვითმმართველობისაგან მ ... მივიღე ბრძანება დავცალო 24 საათ ... განმავლობაში ოთხი თვალი მოწყობი ... ოთახები და მივთავსდე ერთ ოთახ ... ჩემი ოჯახი შესდგება სამი სულისაგ ... და ფრანგულ გერმანულ კურსებისაგა ... ჩემ თხოვნაზე, დამეთმოს ორი ან სა ... უკეთ მოწყობილი ოთახი, უარი მით ... რეს;მიბრძ. ერთ ოთახში დაეტიეო,კურს ... სადმე სასწავლებელში აწარმოეო. განკარგულებით მე ვარდები მძიმე ... ტანჯველ მდგომარეობაში. როგორ შემ ... ლიან მე 64 წლის ავადმყოფმა მოხუც ... ზამთარში სიცივეში ვაწარმოო გაკვე ... თილები დილას, შუადღეს, საღამო ... ჩემი თბილი ბინის გარეშე სხვა ცივ ბ ... ნაზე. მომისპეს პენსია მიყრიან ბარგ ... ქუჩაში, იძულებულს მხდიან ფრანგულ ... გერმანული კურსებიც მოვსპო და ... მომესპოს ლუკმა.

მომხედეთ, მიპატრონეთ, მინგრევ ... ჯახს მისპობენ ლუკმა პურს.

კაზიმირ პიკორსკ...

## ნ. ჟორდანიას სიტყვიდან.

მთავრობის თავმჯდომარემ გვარდ ... მეორე ყრილობაზე წარმოსთქვა ვრ ... ლი სიტყვა. მოგვყავს ზოგიერთი ადგ ... ლები:

პოლიტიკურად ჩვენ ეხლა ვართ ... ტად გამაგრებული ხალხში და ... ჩვენი სახელმწიფოს საზღვრებში. ე ... ალარ არის ის რყევა, ის პოლიტიკ ... ქანაობა, რომელიც ჩვენში იყო და ... ძელსაც განვიცდიდით ამ ერთი ... წლის წინად."

შეიძლება ითქვას, რომ ერთად ... ქართველი ხალხია დღეს, რომელიც ... თავისუფლდა ერთი სენისაგან—ეს ... ნი არის ბოლშევიზმი. შეიძლება ... ლებით ითქვას რომ ბოლშევიზმი ჩ ... ში დამარცხდა როგორც იდეური ...

მორალურადაც და საქართველოს დემოკრატია სრულიად განთავისუფლდა მის იდეებისაგან და გავლენისაგან.

„ჩვენი დემოკრატიის ერთობა არ ყოფილა არასდროს ისეთი ძლიერი როგორც ამჟამად''.

ჩვენს სახელმწიფოში მეტის მეტად გაძლიერდა სახელმწიფოს ინტერესება წინა ღმდეგ მიმართული ყოველგვარი გიროტ მოქმედება. ის პასუხის მგებლობა, რომელიც აწესრიგებს მაგარ სახელმწიფოს მუშათა და მოხელეთ, ჩვენს სახელმწიფოს მუშაკთა შორის სამწუხაროთ არ არის. სახელმწიფოს მოხელეთა შორის, აგრეთვე საზოგადოებრივ ორგანიზაციების მოხელეთა შორისაც პასუხისმგებლობის გრძნობის დაკარგვის ღ ბადი ის, რომ მათ სახელმწიფოებრივი ინტერესები არ მიაჩნიათ იმათ ინტერესებით, რომელსაც უნდა ემსახურონ. თუ იშოვეს დრო და გარემოება, ამ სახელმწიფოს ინტერესს უცნებენ პირადი ინტერესებისათვის და ამ სახელმწიფო ქონება, რომელსაც ვაგროვებთ ამის წყალობით დღით დღე იფლანგება. უმთავრესადმე ეს ბოროტება ამ ბოლოს მოქმედებასთან არის ჩვენი დღევანდელი სამდროვო საკითხი და სანამ ჩვენ მას არ ამოვკვეთავთ ძირ ფესვიანად და სახელმწიფო მუშაობას არ ჩავაყენებთ სით ნადთ კალაპოტში, მანამ ჩვენი სახელმწიფოს ძალა არ იქნება გამაგრებული და ფინანსები მოწყობილი. ის კაცი, რომელმაც მოიპარა სამი მილიონი მანეთი და ციხეში ჩავარდნით გამოდის გარეთ რაღაც ოცი ათასი მანეთის თავდებობით.''

„ჩვენ არ გვაქვს შეგნებული, რომ თვითეული ჩვენი მოქალაქის თვითეული გლეხის და მუშის ინტერესს შეადგენს ის, რომ სახელმწიფო იყოს ძლიერი ფინანსიურად და ეკონომიურად. თუ სახელმწიფო ძლიერია, მაშინ ძლიერია თვითეული მოქალაქის ფინანსებიც და აი სწორედ იმის შეგნება, რომ სახელმწიფოს ნივთიერი ინტერესი არის იმავე დროს კერძო პირის ნივთიერი ინტერესი, აკლია ჩვენს ხალხს, და ამით აიხსნება ის, რომ ჩვენ დღეს მეტად შერყეულ ეკონომიურ და ფინანსიურ მდგომარეობაში ვართ. ნათქვამი არის: „სულერთია მგელს შეუჭამიხარ თუ მგლის ფერ ძაღლსო'', სულერთია ბოლშევიკები დაგვანგრევენ თუ შიგნით დავინგრევით ეკონომიურად, მე მგონია, უფრო ადვილია იქ ფრონტებზე სახელმწიფოს დაცვა, ვიდრე დაცვა ჩვენი სახელმწიფოსი ეკონომიურად და ფინანსიურად''.

„დღეს არა თუ მარტო ქურდები, არამედ აშკარად ყალბი ფულის მომჭრელებიც თავისუფლად დადიან და სეირნობენ ქუჩებში''.

## „ერთობას'' მცირე შენიშვნა.

7 ოქტომბერს გაზ. „ერთობაში" მოთავსებულია ბ. ენის მიერ ხელმოწერილი წერილი, სადაც ნათქვამია სხვათა შორის ვითომც მე ვყოფილიყავ მომარაგების სამინისტროს რწმუნებული თამბაქოსა და სხ. საქონლის რეალიზაციისათვის უკრაინაში. ვაცხადებ კატეგორიულად, რომ ეს მართალი არ არის. მე არას დროს მომარაგების სამინისტროს რწმუნება თუ ოფიციალური წარმომადგენლობა დაკისრებული არ მქონია. მე, როგორც რესპუბლიკის მოქალაქე მაინც მივალი ფთვალიდი ჩემს თავს, მიმეცა სადაც საჭირო იყო ჩემი ძალა, რჩევა და დარიგება, თუ მას ვინმე მთხოვდა. ამ მიზნით მე კიდევაც გავყევ მოვიდა. სამინისტროს რწმუნებულს და ვფიქრობ ჩემმა დახმარებამ გაზიდული საქონლის ოდესა-პეტროვსკში და გასაღების საქმეში სარგებლობა მოუტანა რესპუბლიკის ხაზინას, რისი საბუთებიც ხელთა მაქვს.

თუ არ ვცდები ბ. კ. საბახტარაშვილი, მინისტრი კ. კანდელაკი და სახელმწიფო კონტროლი ფ. გოგიჩაიშვილი დაამოწმებენ, რომ მე ხშირად ვაძლევდი ამგვარ რჩევებს. საჭიროების დროს მაქვს შენახული ყოველგვარი საბუთები, რომელთაც „ერთობის" რედაქციას გადავცემ პირველსავე მოთხოვნისთანავე, იქიდან ცხადი იქნება, თუ ვინ როგორ ასრულებდა მოვალეობას რესპუბლიკის მოქალაქისას.

დ. მარგველაშვილი.

## სახელმწიფო უნივერსიტეტის ეროვნულ-დემოკრატ. სტუდენტთა კომიტეტის ცნობები

კვირას ოქტომბრის 31-ს დილის 10 ს. მთავარი კომიტეტის ბინაზე დანიშნულია სტუდენტთა კომიტეტისა და სტუდენტთა მთავარი გამგეობის ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის შეერთებული კრება. განსახილველია ფრიად საყურადღებო კითხვები. დასწრება სავალდებულოა.

# ახალი ამბები.

### მთავრობაში.

— მთავრობამ დაადგინა მეორე უბნის უდიდეს საქმეთა გამომძიებელი დ. ლამბაშიძე დაინიშნოს თბილისის საოლქო სასამართლოს პროკურორის ამხანაგად.

— მთავრობამ გზათა უწყების დეპარტამენტს მიანიჭა უფლება, რომ მან რკინის გზებზე შტატების ნაწილობრივი შემცირება მოახდინოს. სალიკვიდაციო ფული რკინის გზის საოპერაციო თანხიდან უნდა იქმნას გადახდილი.

— მთავრობამ დაადგინა: ვინაიდან ახალქალაქის სამაზრო მილიცია ახალციხის სამაზრო ერობის ხელში გადავიდა, ამიტომ სამსახურიდან განთავისუფლდეს მაზრის მილიციის უფროსი პ. მიქაბერიძე.

— მილოცვები. მთავრობის თავმჯდომარის სახელზე მოვიდა მილოცვის დეპეშა სახალხო გვარდიის მეორე ყრილობის პრეზიდიუმისაგან, ასეთივე დეპეშა მოვიდა სოხუმის სოც.-დემ. პარტიის ყრილობისაგან.

### სამინისტროებში.

— შრომის სამინისტროში. შრომის სამინისტრომ მიმართა სტატისტიკურ საბჭოს თხოვნით რესპუბლიკის მრეწველობის მდგომარეობის შესახებ ცნობები მოგვაწოდეთ. შრომის სამინისტრომ ითხოვა აგრეთვე რომ საქალაქო აღწერაში შეიტანეთ ისეთი მუხლები, რომელიც მრეწველობის მდგომარეობასაც გამოარკვევსო. წმინდა პროფესიონალურ ხასიათის მასალების დამუშავებას თვით სამინისტრო ღებულობს თავის თავზე.

— მეღვინეთა საბჭო. მიწად მოქმედების სამინისტროსთან დაარსებულმა მეღვინეთა და მევენახეთა საბჭომ პირველ რიგში უნდა გამოარკვიოს ღვინის ღირსების და მისი ყიდვა გაყიდვის საკითხი: ეს საკითხები უნდა გადაწყდეს დაინტერესებულ უწყებებთან შეთანხმებით. აღმასრულებელ ორგანოთ ითვლება მეღვინეთა და მევენახეთა ბიურო.

— მიწები მოსამსახურეებს. მიწად მოქმედების სამინისტრომ აღძრა საკითხი, რომ სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებების მოსამსახურეებს ქალაქის ფარგლებში მიეცესთ თავისუფალი მიწები პირადი შრომით დასამუშავებლად, ეს მიწები დამუშავდება სამსახურის შემდეგ და უქმე დღეებში. მიწად მოქმედების სამინისტროს მოსამსახურეთა პროფ. კავშირის გამგეობა უკვე შეუდგა მიწის დამუშავების მსურველ მოსამსახურეთა სიის შედგენას.

— სატყეო განყოფილებაში. საბჭოთა რუსეთიდან მიწად მოქმედების სამინისტროს გამოწვევით თბილისს ჩამოვიდა სატყეო საქმის მცოდნე, ს. ბაქრაძე. ბაქრაძე სამინისტროს სატყეო განყოფილებაში უკვე დაინიშნა.

— სახელმწიფო შემოსავალი. მიწად მოქმედების სამინისტრომ სახელმწიფო მამულების მმართველს, ტყის გამგეს, და საიჯარო განყოფილების უფროსს გაუგზავნა ცირკულიარი, სადაც აღნიშნულია რომ მიუხედავათ პირობების შეცვლისა ზოგიერთი იჯარით გაცემული სახაზინო მამული მოიჯარადრეებს იმავე ფასში აქვთ, რა ფასსაც წინედ იხდიდნენ, რის გამოც ხაზინას დიდი ზარალი მოსდისო. ცირკულიარში აღნიშნულია აგრეთვე, რომ მოიჯარადრეები ამ მამულიდან დიდ შემოსავალს იღებენ და მათ თავისუფლად შეუძლიათ ხაზინის მეტი გადასახადი მოსცენო. სამინისტრო წინადადებას აძლევს მათ გადააფასონ საიჯარო ადგილები ეს მუშაობა დეკემბრის 15 უნდა დასრულდეს.

### ბანკებში.

— სახელმწიფო ბანკში. სახელმწიფო ბანკის საბჭოს სხდომაზე მოისმინეს მოხსენება ბათომის განყოფილების გახსნისა და მისი მოღვაწეობის შესახებ. ბანკის ბათომის განყოფილება თავის გახსნის პირველი დღიდანვე შეუდგა აქტიურ და პასიურ ოპერაციების წარმოებას. გახსნის დღეს ბანკის მიმდინარე ანგარიში შეიტანეს 50 მილიონი მანეთი. ბანკთან დაარსდა გამნაღდებელი და სავალუტო კომიტეტი. ბათომის განყოფილება თავის მოღვაწეობას ავრცელებს დასავლეთ იმერეთსა აფხაზეთსა, გურიასა, სამეგრელოსა და ბათომის ოლქზე.

— მომარაგების საქმე. მუშათა მარაგიდა ამ დღეებში შეუდგება იაფ ფასიან ნავთის დარიგებას. პირველად მიიღებენ დაწესებულებები, რომელთაც ნავთის ორდერები აქვთ. დანარჩენი მუშები და მოსამსახურეები ნავთს ჯგუფებით მიიღებენ. ნავთი „პეტროლის'' საწყობიდან ფუთი 70 მანეთად მიეცემათ.

— სოხუმიდან. სოხუმის ს. დ. საოლქო ყრილობამ მისალმების დეპეშა გამოუგზავნა საქართველოს დამფუძნებელ კრებას.

— პროტესტი. დამფუძნებელ კრების პრეზიდიუმმა სიღნაღში გამართულ მიტინგის სახელით მიიღო საპროტესტო დეპეშა ოსმალეთის მიერ სომხეთზე თავდასხმის გამო.

— სომეხთა ეროვნულ საბჭოში. სომეხთა ეროვნულ საბჭოში ოქტომბრის 26 მოხსენება წაიკითხა თარხანოვმა რომელიც საბჭოს მიერ გაგზავნილი იყო წარმომადგენლად ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფ კომისიაში. საბჭომ აირჩია კომისია, რომელსაც დაავალა სასწრაფოდ, შეიმუშავოს კანონ-პროექტი საქართველოში სომეხთა ეკლესიის მდგომარეობის შესახებ.

— ფეხსაცმელები. ქალაქის სასურსათო ნაწილმა მიიღო დიდძალი ფეხსაცმელები ვაჟთა და ბავშვებისა, რომელსაც ამ ახლო ხანში გაუშვებს.

— საბერძნეთის მეფის გარდაცვალების გამო. ოქტომბრის 28 საბერძნეთის მეფის გარდაცვალების გამო სომხეთის დიპლომატიური წარმომადგენელი საქართველოში ქ. ბეკზადიანმა სამხედრო წარმომადგენელ გენ. ქიშმიშევთან ერთად ინახულა საბერძნეთის წარმომადგენელი ბ. ოკეალერისი და სამძიმარი გამოუცხადა.

## თეატრი და მუსიკა.

### ქართული დრამა.

„დარისპანის გაჭირვება''. „ირინეს ბედნიერება".

დოსტოევსკისათვის თვითონ სინამდვილე იყო ფანტასმა, იგი ამბობდა: „ჩემთვის რა იქნება უფრო ფანტასტიური და უცოდნელი ვიდრე სინამდვილე''? „რასაც უმრავლესობა უწოდებს ფანტასტიურს და უცნაურს, ჩემთვის იგი შეადგენს თვითონ არსებას სინამდვილისას''. „მე ძლიერ მიყვარს [illegible] ხელოვნებაში, რეალიზმი [illegible] ფანტასტიურობამდე''.

იმერეთის სინამდვილე ფანტასმაგორია თავისთავად. დავით კლდიაშვილი არაფერს უმატებს მას. იგი ამ მხრით რეალისტია ნამდვილი. დოსტოევსკისა და კლდიაშვილს შუა ის გარჩევაა, რომ პირველის რეალიზმი მართლაც დასულია ფანტასტიურობამდე, მეორისა კი მხოლოდ მიახლოვებული: დოსტოევსკის კითხვის დროს პირდაპირ გადადიხარ ფანტასტიკაში, კლდიაშვილის ათვისების დროს კი საჭიროა განზე დადგე, რომ გაიფიქრო (მხოლოდ გაიფიქრო) ფანტასტიურობა. კლდიაშვილი ბოლოს და ბოლოს „დღევანდელობის ამხაზველია. შესაძლოა, ეს გარემოება აძლევდეს მის დრამატიულ სცენებს ერთგვარ სიმსუბუქეს.

ქართულმა დრამამ (უკვე განახლებულმა) დასდგა „დარისპანის გაჭირვება'' და „ირინეს ბედნიერება''.

„დარისპანის გაჭირვება'' არ იყო დამაკმაყოფილებელი. თავი და თავი ამ ნაწარმოების განსახიერების არის ტემპი. აქ უნდა იყოს აღებული ჩქარი და მკვირცხლი რიტმი იმერეთის. ხუთშაბათს კი ეს რიტმი რაღაც მოდუნებული და „დაბეჟილი'' გამოდიოდა. შესაძლოა ამის მიზეზი ვასო არაბიძე იყო, რომელიც დარისპანად მოგვევლინა (— დარისპანი კი მთავარი ხაზია აქ). ვასო არაბიძე კარგ ამსრულებლად ითვლება იმერულ სცენებში, მაგრამ დარისპანისათვის მას აკლია ერთგვარი სიმახვილე. კულუარებში ხშირად იხსენებდენ შალიკაშვილს, რომელიც შესანიშნავი დარისპანი იყო. კიდევ ერთი შენიშვნა: პელაგიას (— თითქმის მართასაც) შიგა და შიგ ძლევს არა იმერული კილო ლაპარაკისა. ქნი ლოლუა ამ მხრით გამოირჩევა.

სამაგიეროდ კარგი გამოდგა „ირინეს ბედნიერება''. დადგმაში არის ნატურალისტური ხაზები. მაგრამ ეს აქ საჭიროა. სცენაზე პირველ მოქმედებაში წამოდგმულია იმერულული პატარა ოდა, მის წინ ნამდვილი თუთის ხე (იმერული „ბჟოლა''), განზე იმერული სასიმინდე, იმერული ღობე და სხვა. ერთი სიტყვით, იმერული „გარემო'' არასოდეს არ ყოფილა ჩვენს სცენაზე ასე კარგად გადმოცემული. მსახიობთა თამაშში უნაკ-

## ხელშეკრულება ერთა ლიგისა.

(თარგმანი გ. გვაზავასი.)

### შესავალი.

მაღალნი მხარენი, ამა ხელშეკრულებისა დამდებელნი.

ვინაიდგან ერთა შორის თანამშრომლობის განვითარებისათვის და მათი მშვიდობიანობისა და უზრუნველყოფის დამყარებისათვის საჭიროა,

მიღება ზოგიერთი ვალდებულებათა, რომ ომს არავინ მიმართოს,

წარმოება აშკარად საერთაშორისო განწყობილებისა, დამყარებული სამართლისა და პატიოსნებაზე,

ასრულება მკაცრად საერთაშორისო უფლების მოთხოვნილებათა, რომელნიც ამიერიდან აღიარებულნი არიან ვით ნამდვილი სახელმძღვანელო მთავრობათათვის,

დამყარება სამართლისა და ასრულება სინდისიერად ხელშეკრულებათა ყოველი ვალდებულებისა ორგანოსანი ხალხთა საურთიერთო განწყობილებაში,—

სდებენ ამ ხელშეკრულებას, რომელიც აარსებს ერთა ლიგას.

### შემადგენლობა ლიგისა.

მუხლი 1. არიან წევრნი პირველნი ერთა ლიგისა—ის ხელის-მომწერნი, რომელთა სახელნი აღნიშნულნი არიან ამ ხელშეკრულების დამატებაში, ისე, როგორც ის სახელმწიფონიც, აგრეთვე დასახელებულნი დამატებაში, რომელნიც სავსებით შემოუერთდებიან ამ ხელშეკრულებას, სეკრეტარიატში წარდგენილი განცხადებით, ორი თვის განმავლობაში დღიდან ხელშეკრულების ძალაში შესვლისა, რაც უნდა ეცნობოს დანარჩენ წევრებს ლიგისა.

ყოველი სახელმწიფო, სამფლობელო ან ახალშენი, რომელსაც კი აქვს დამოუკიდებელი მართვა-გამგეობა და რომელიც მოხსენებული არ არის დამატებაში, შეიძლება გახდეს ლიგის წევრი, თუ მის მიღებაზე თანახმაა ორი მესამედი ყრილობისა, ოღონდ კი მან მოიღოს ნამდვილი გარანტია მისი გულწრფელი განზრახვისა, აღასრულოს თავისი საერთაშორისო ვალდებულებანი და იკისროს ლიგის მიერ დადგენილი წესრიგი შესახებ მისი სამხედრო, საზღვაოსნო და საჰაერო შეიარაღებისა.

თვითეულ წევრს ლიგისას შეუძლიან, ორი წლით წინდაწინ განცხადების შემდეგ, გავიდეს ლიგისაგან, უკეთუ აღასრულა ამ დროისათვის ყველა თავისი საერთაშორისო ვალდებულებანი, მათ შორის ამ ხელშეკრულებისანიც.

### ორგანოები.

მუხლი 2. ლიგის მოქმედებას, ისე, როგორც ის არის განსაზღვრული ამ ხელშეკრულებაში, აწარმოებს ყრილობა და საბჭო მუდმივი სეკრეტარიატის შემწეობით.

### ყრილობა.

მუხლი 3.—ყრილობა შესდგება საზოგადოების წევრთა წარმომადგენლებისაგან.

იგი იკრიბება დანიშნულ ხანებში და ყოველ სხვა დროსაც, უკეთუ გარემოება მას მოითხოვს, ლიგის საბინადროში, ან სხვა ადგილას, რომელიც დანიშნული იქნება.

ყრილობა იხილავს ყოველ საკითხს, რომელიც კი შედის ლიგის მოქმედების სფეროში ან რომელიც ეხება ქვეყნის მშვიდობიანობას.

ლიგის თვითეულ წევრს ჰყავს არა უმეტესი სამი წარმომადგენლისა ყრილობაში და აქვს მხოლოდ ერთი ხმა.

### საბჭო.

მუხ. 4 — საბჭო შესდგება უმთავრესი, შეკავშირებულ და შეთანხმებულ სახელმწიფოთა წარმომადგენლებისაგან, აგრეთვე საზოგადოების ოთხი სხვა წევრთა წარმომადგენლებისაგან. ამ ოთხს წევრს თავისუფლად ირჩევს ყრილობა და იმ ხანებში, როცა თვითონ მოისურვებს არჩევნებს. ვიდრე მოხდებოდეს პირველი არჩევნები ყრილობის მიერ, წარმომადგენლები ბელგიისა, ბრაზილიისა, ესპანიისა და საბერძნეთისა არიან წევრნი საბჭოისანი.

ყრილობის უმრავლესობის თანხმობით საბჭოს შეუძლიან დანიშნოს სხვა წევრნიც, რომელთა წარმომადგენლობა შემდეგ იქნება მუდმივი საბჭოში. მას შეუძლიან, იმავე თანხმობითა, გაადიდოს რიცხვი ლიგის წევრებისა, რომელნიც არჩეულ იქნებიან ყრილობის მიერ, რათა წარმომადგენელნი იქნენ საბჭოში.

საბჭო იკრიბება, როცა გარემოებანი მას მოითხოვენ და ერთხელ მაინც წელიწადში, საზოგადოების საბინადროში ან სხვა ადგილას, რომელიც იქნება დანიშნული.

საბჭო იხილავს ყოველ საკითხს, რომელიც შედის ლიგის მოქმედების სფეროში ან ეხება ქვეყნის მშვიდობიანობას.

ყოველ წევრს ლიგისას, რომელიც არ არის წარმოდგენილი საბჭოში, შეუძლიან ისე გამოგზავნოს ერთი წარმომადგენელი, როცა რომელიმე საკითხი როგორც მას განსაკუთრებით აინტერესებს, არის დასმული საბჭოს წინაშე.

თვითეულ წევრს ლიგისას წარმოდგენილს საბჭოში, აქვს მხოლოდ ერთი ხმა და ჰყავს მხოლოდ ერთი წარმომადგენელი.

### პროცედურა.

მუხ. 5 — გადაწყვეტილება ყრილობისა ან საბჭოსი ჰხდება ერთხმად კრებაზე დამწრე წევრთა მიერ, უკეთუ წინააღმდეგი პირდაპირ არ არის განსაზღვრული ამ ხელშეკრულებით.

ყოველი საპროცედურო საკითხი, რომელიც დაისმის ყრილობის თუ საბჭოს კრებაზე, მათ შორის დანიშვნა კომისსიებისა განსაკუთრებულ საგანთა გამოსაძიებლად, ჰწყდება ყრილობის თუ საბჭოს მიერ, კრებაზე წარმოდგენილ ლიგის წევრთა ხმის უმეტესობით.

პირველ კრებას ყრილობისას და პირველ კრებას საბჭოისას მოიწვევს ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატების პრეზიდენტი.

### სეკრეტარიატი.

მუხ. 6 — მუდმივი სეკრეტარიატი არსდება ლიგის საბინადრო ადგილში. იგი შესდგება მთავარი მდივნისაგან, აგრეთვე მდივნებისა და საჭირო მოხელეებისაგან.

პირველი მთავარი მდივანი დასახელებულია დამატებაში. შემდეგში მთავარი მდივანი ინიშნება საბჭოს მიერ ყრილობის უმრავლესობის დასტურით.

მდივნები და მოხელეები სეკრეტარიატისა ინიშნებიან მთავარი მდივნის მიერ საბჭოს დასტურით. მთავარი მდივანი საზოგადოებისა არის თანამდებობით მთავარი მდივანი ყრილობისა და საბჭოსი.

ხარჯსა სეკრეტარიატისას სწევენ წევრნი ლიგისანი თანახმად იმ პროპორციისა, რომელიც იქნება დაწესებული მსოფლიო კავშირის საერთაშორისო ბიუროს მიერ.

### ბინადრობა და ხელშეკრულობა.

მუხ. 7. ბინადრობა ლიგისა დაწესებულია ჟენევაში.

საბჭოს ყოველთვის შეუძლიან გადაწყვიტოს გადაიტანოს ის ყოველ სხვა ადგილას.

ყოველი თანამდებობა საზოგადოებისა თუ სამსახური მასთან დაკავშირებული, მათ შორის სეკრეტარიატიც თანასწორად მისაწვდომია როგორც კაცთა ისე ქალთათვის. ლიგის წევრთა წარმომადგენელნი და მათი აგენტები მათ თანამდებობის ასრულებაში ჰსარგებლობენ დიპლომატიურ უპირატესობით და ხელშეუხებლობით.

შენობანი და ადგილნი, რომელნიც უჭირავს ლიგას მის სამოსამსახურონი თუ მისი კრებანი შეუვალნი არიან.

### შეზღუდვა შეიარაღებისა.

მუხ. 8.— წევრნი ლიგისანი ჰცნობენ რომ მშვიდობიანობის შენარჩუნება მოითხოვს ეროვნული შეიარაღების შემცირებას იმ მინიმუმამდე, რომელიც შეეფერება ერის უზრუნველყოფას და იმ საერთაშორისო ვალდებულობათა ასრულებას, რომელიც დაკისრებული იქნება რაიმე საერთო მოქმედებით.

საბჭო ანგარიშს გაუწევს გეოგრაფიულ მდებარეობას და განსაკუთრებულ პირობებს თვითეულ სახელმწიფო წევრისას, რათა მოამზადოს გეგმანი ამ შემცირებისა და წარუდგინოს იგინი სხვა და სხვა მთავრობებს განსახილველად და გადასაწყვეტად.

ეს გეგმანი უნდა გახდნენ საგანი ახალი განხილვისა და თუ საჭიროა, გადასინჯვისა ყოველ ათ წელიწადში (ერთხელ) მაინც. მათი მიღების შემდეგ სხვა და სხვა მთავრობათა მიერ, საზღვარი შეიარაღებისა, ამ ნაირად დადებული, არ უნდა იქმნეს გადაცილებული საბჭოს ნებადაურთველად.

ვინაიდგან კერძო წარმოება იარაღისა და სამხედრო მასალისა იწვევს დიდს წინააღმდეგობას, წევრნი ლიგისანი ავალებენ საბჭოს მიიღოს სათანადო ზომა ამის სამწუხარო შედეგების ასაცილებლად, თანაც იქონიოს მხედველობაში ლიგის იმ წევრთა საჭიროება, რომელნიც ვერ აკეთებენ მათი უზრუნველყოფისათვის საჭირო იარაღს და სამხედრო მასალას.

წევრნი ლიგისანი ვალდებულნი არიან გადასცენ ერთმანეთს, სრულის სიწრფელით და სავსებით, ყოველნი ცნობანი შესახებ მათი შეიარაღების ზომისა მათი სამხედრო და საზღვაოსნო პროგრამისა და მათი წარმოების იმ დარგის პირობებისა, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქმნას ომისათვის.

### კომისსია სამხედრო და საზღვაოსნო

მუხ. 9. ერთი მუდმივი კომისია იქნება შემდგარი, რომელმაც უნდა მისცეს საბჭოს თავისი აზრი შესახებ პირველის და მერვე მუხლთა მოთხოვნილების ასრულებისა, და საზოგადოდ შესახებ სამხედრო, საზღვაოსნო და საჰაერო საკითხებისა.

### გარანტია ტერიტორიის და დამოუკიდებლობისა.

მუხ. 10.—წევრნი ლიგისანი ვალდებულნი არიან დაიცვან და უზრუნველჰყონ, წინააღმდეგ ყოველი გარეშე თავდასხმისა, ტერიტორიული მთლიანობა და ეხლანდელი პოლიტიკური დამოუკიდებლობა ლიგის ყველა წევრებისა. იმ შემთხვევაში, როცა არის თავდასხმა, მუქარა ან საფრთხე თავდასხმისა, საბჭო ჰღებულობს ზომებს რათა უზრუნველჰყოს ასრულება ამ ვალდებულებისა.

### მუქარა ომისა.

მუხ. 11.—გადაჭრილად აღიარებულია, რომ ყოველი ომი ან მუქარა ომისა, პირდაპირ შეეხება იგი თუ არა რომელიმე წევრს ლიგისას, აინტერესებს მთელ საზოგადოებას მთლიანად და რომ ამ უკანასკნელმა უნდა მიიღოს სათანადო ზომები, რათა ნამდვილად უზრუნველჰყოს მშვიდობიანობა ერთა შორის. ამისთანა შემთხვევაში მთავარი მდივანი დაუყონებლივ იწვევს საბჭოს, ლიგის ყოველივე წევრის მოთხოვნით.

აღიარებულია, გარდა ამისა, რომ ლიგის ყოველ წევრს უფლება აქვს მეგობრულად მიაქციოს ყურადღება ყრილობისა თუ საბჭოსი ყოველ ასეთ გარემოებაზე, რომელიც ჰრევს საერთაშორისო განწყობილებას და შემდეგში შეიძლება დაარღვიოს მშვიდობიანობა ან კეთილი თანხმობა ერთა შორის, რომელზედაც დამოკიდებულია მშვიდობიანობა.

### გარჩევა დავისა.

მუხ. 12.—ყველა წევრნი ლიგისანი თანახმანი არიან, უკეთუ ატყდება იმით შორის დავა, რომელმაც შეიძლება, გამოიწვიოს განხეთქილება,—დაუმორჩილონ იგი ან საარბიტრაჟო გარჩევას ან გასინჯვას საბჭოს-მიერ. თანახმანი არიან აგრეთვე არავითარ შემთხვევაში არ მიმართონ ომს, უკეთუ სამი თვის ვადა არ არის გასული დღიდან არბიტრაჟის გადაწყვეტილებისა ან საბჭოს მოხსენებისა.

ამ მუხლში გათვალისწინებულ შემთხვევაში, გადაწყვეტილება არბიტრაჟისა უნდა იყოს გამოტანილი შესაფერ ვადაში და მოხსენება საბჭოსი გაკეთებული უნდა იქმნეს ექვსი თვის განმავლობაში იმ დღიდან, როცა მას გადაეცა სადაო საკითხი.

### არბიტრაჟი.

მუხ. 13.—წევრნი ლიგისანი თანხმანი არიან—უკეთუ ატყდება იმათ შორის რაიმე დავა, რომელიც მათი აზრით შეიძლება გადაწყვეტილ იქმნას არბიტრაჟით, და რომლის დამაკმაყოფილებელი მოწესრიგება დიპლომატიურის გზით მოუხერხებელია,—საკითხი მთლიანად გადასცენ არბიტრაჟს.

საზოგადოდ საარბიტრაჟო საქმედ აღიარებულია ყოველი დავა შესახებ ხელშეკრულობის განმარტებისა, შესახებ საერთაშორისო უფლების ყოველი მუხლისა, შესახებ ყოველი ფაქტის სინამდვილისა, რომელიც, უკეთუ დამტკიცდა, შეადგენს საერთაშორისო ვალდებულების დარღვევას ან შესახებ ამ დარღვევით შექმნილ ანაზღაურების რაოდენობისა თუ ბუნებისა.

საარბიტრაჟო სასამართლო, რომელსაც უნდა გადაეცეს სადაო საკითხი, არის სასამართლო, არჩეული მოდავე მხარეების—მიერ ან წინასწარ განსაზღვრული მათს უწინდელ შეთანხმებაში.

წევრნი ლიგისანი პირობას სდებენ კეთილ-სინდისიერად აღასრულონ გამოტანილი გადაწყვეტილებანი და არ მიჰმართონ ომს ლიგის არც ერთი წევრის წინააღმდეგ, რომელიც კი მათ ასრულებს. უკეთუ გადაწყვეტილება არ იქნება ასრულებული, საბჭო იღებს ზომებს, რომლებმაც უზრუნველ უნდა ჰყონ მისი მიზანი.

### მუდმივი სამსჯავრო.

მუხ. 14.—საბჭოს ევალება შეიმუშაოს პროექტი საერთაშორისო სამართლის მუდმივი სამსჯავროისა და წარუდგინოს ის ლიგის წევრებს. ამ სამსჯავროს დაექვემდებარება ყოველი დავა საერთაშორისო ხასიათისა, რომელსაც კი მხარენი მას წარუდგენენ. ის გამოიტანს აგრეთვე სათათბირო დასკვნებს შესახებ ყოველი დავისა და მუხლებისა, რასაც კი მას გადასცემს საბჭო ან ყრილობა.

(დასასრული იქნება.)

ლო იყო. აქ უკვე სჩანდა ის საჭირო ტემპი, რომელიც აკლდა „დარისპანს". ჩამოთვლა ზედმეტია: ყველანი კარგად და შეწყობილად თამაშობდენ.

გივი გოლლენდ.

# ქ. ზესტაფონი.

ქ. ზესტაფონში არსებობს ფრიად სიმპატიური კოოპერატიული დაწესებულება „გლეხთა კავშირი", რომელსაც რამდენი გლეხი ყავს წევრად ჯერჯერობით ვერავინ ვერ გამოიკვლია. ეს დაწესებულება შესისხლხორცებულია მეორე აგრეთვე სიმპატიურ დაწესებულება საკრედიტო ამხანაგობასთან, ანუ, როგორც ხალხი ეძახის „გუნცაძის ბანკთან" ორივე დაწესებულება არის ერთ შენობაში მოთავსებული, საწყობები ერთი აქვთ, სალაროც ერთი და გამგეობებიც შესდგებიან ერთი და იმავე პირებისაგან: ი. გუნცაძე, გო. ი. აბაშიძე ასე რომ არც თვით გამგეებმა იციან სად იწყება ერთი და სად თავდება მეორე ამ დუეტისა და ტრიოს გარშემო ბევრი მითქმა მოთქმაა ხალხში, ზოგი პრესაშიც გამოამზეურეს, მაგრამ...... ალბად შურიანობის ნაყოფია.

ამ დაწესებულებებს ბევრ ნაკლთან კარგი მხარეებიც აქვს და დიდი ღვაწლიც მიუძღვის ხალხის წინაშე. ისინი ბლომად ეწიკებოდენ შაქარს, სიმინდს შაბიაბან გოგირდს, რკინეულობას, ერთი სიტყვით ყველაფერს, რასაც იშოვიდენ ტკბილსა და მწარეს. მათი მოქმედება რუსის ბატონობის დროსაც ნაყოფიერი იყო, მაგრამ თბილისიდან იმპორტი უფრო გააძლიერეს რევოლიუციის პირველ ხანებში, სანამ ერთ-ერთი მეთაურთაგანს „სოციალისტობაზე" ხელს არ აღებიებდენ.

ზოგი ერთი კრიტიკოსები ცუდ მხარეს აღინიშნავენ ხოლმე და კარგზე არაფერს იტყვიან. მე წმინდა მოვალეობად მიმაჩნია აღვნიშნო საზოგადო მოღვაწის კარგი თვისებები და ცუდს, რამდენადაც შესაძლებელი იქნება, გვერდი აუარო, რადგანაც დღეს ცოტა კარგის მქმნელიც სანთლით საძებარია. ამისათვის მე მინდა აღვნიშნო დღეს ამ დაწესებულებათა და მათი მეთაურობის ერთ-ერთი ფრიად მნიშვნელოვანი და ღირს შესანიშნავი დამსახურება ხალხის და რესპუბლიკის წინაშე: „Законъ имѣетъ обширное поле" იტყოდენ რუსის იურისტები. ეს შეიძლება, ითქმოდა რუსის კანონებზე, რომელთაც აუარებელი შენიშვნები და განმარტებები აქვს, სადაც, როგორც იტყვიან, ეშმაკიც ფეხს მოიტეხს, მაგრამ ამას ვერ ვიტყვით ჩვენ ერთის კანონზე: მოსავლიან ადგილებიდან დამშეულ კუთხეებში სასტიკათ აკრძალულია ყოველგვარი ხორბლეულობის გატანა. აქ ორი აზრი შეუძლებელია. ბრძანება ფრიად მარტივი, ყველასათვის გასაგები და ლაკონიურია. დამშეულ მცხოვრებლებს უბრძანეს:

лажись и умирай!.. ბევრი თავი იმტვრიეს ჩვენმა საზოგადო დაწესებულებამ და მათმა მესვეურებმა, მაგრამ ამ ბრძანებას არამცთუ ფართე მინდორი, ვიწრო შესაპარავი ბილიკიც ვერ გამოუნახეს. ცუდ მდგომარეობაში ჩავარდენ დამშეული კუთხეები და განსაკუთრებით ზემო იმერეთი, რომელსაც თავის საკუთარი ხორბალი მოსავლიან წლებშიც არ მოსდიოდა. მდგომარეობა შეიქმნა კრიტიკული. ერობა, თემები, კოოპერატივები სასოწარკვეთილებას მიეცენ და ბოლოს ხალხი ბედს მიუგდეს. მაგრამ „კაცსა ღმერთი არ გასწირავსო" იტყვიან. და აი, ამ დროს ღმერთმა მოუვლინა ხალხს მხსნელათ საკრედიტო ამხანაგობა, ანუ „გუნცაძის ბანკი" და „გლეხთა კავშირი". აქ იჩინა თავი იმერულმა გამჭრიახობამ: მთავრობას ბლომად აქვს რუსის ნაოხარი „პოვოსკების" ბორბლები, რომლებიც მიდვრად ჰყრიან და მოუვლელობით ლპებიან. ამ დაწესებულებათა მეთაურებმა გამოითხოვეს ისინი მთავრობისაგან გლეხებისათვის დასარიგებლად. მთავრობამაც დიდის სიამოვნებით დააკმაყოფილა მათი შუამდგომლობა და რამოდენიმე ათასი წყვილი ბორბალი მისცა შეღავათიან ფასებში, როგორც ამბობენ, 300—400 მანეთად წყვილი. ეს ბორბლები ჩამოიტანეს, ანუ, როგორც თვითონ იტყვიან, იმპორტი უყვეს და მიჰყიდეს გლეხებს 6000—7000 მანეთად წყვილი. დამშეულმა გლეხებმა ამ ბორბლებით ისარგებლეს-გააკეთეს ურმები, ჩასვეს შიგ მთელი თავისი ჯალაბი-ქალიან-ბავშვიანა და გაუდგენ გზას გორის მაზრისკენ, რომ იქ მაინც გამოიკვებონ შემოდგომამდის, რადგანაც ხორბლეულობას აქეთ არ ატანენ.

მართლაც, თუ კარგათ ჩაუკვირდებით ამ გარემოებას, დიდი ღვაწლი მიუძღვის ბ ნ გუნცაძე, გოცაძე და კომპანიას რესპუბლიკის და ხალხის წინაშე: ერთი, რომ მთავრობას გაუსაღეს მუქთად დარჩენილი და გამოუსადეგარი ქონება და მისი ფასით ხაზინა გაამდიდრეს; მეორე, რომ დამშეულ გლეხებს მისცეს საშვალება თვითონ მისულიყვენ ხორბალთან და მშიერ სიკვდილს გადარჩენილიყვნენ და მესამე ის, რომ მოგებას გაუნაწილებენ „გლეხთა კავშირის" წევრებს, მაგრამ ამ მოგების რაოდენობა ჯერჯერობით გამორკვეული არ არის. მისი გამოკვლევა შეუძლია მხოლოდ ძალიან დახელოვნებულსა და სანსკრიტული ენის მცოდნე მკვლევარს ერთ-ერთი ამ კომპანიის წევრთაგანის სიკვდილის შემდეგ მის ჯიბეში აღმოჩენილ ნაკუწ ნაკუწ ქაღალდებში. მანამდის, რა თქმა უნდა, მოგების გაყოფაც არ მოხდება.

ხალხი მათი ძალიან მადლიერია და ეს მადლობა დამსახურებულიც აქვთ.

ამ ცოტა ხნის წინათ თქვენ შეხვდებოდით კარტოხისაკენ მიმავალ ურმებს დატვირთულს ქალებითა და ბავშვებით. ოჯახის უფროსნი ფეხში შველნი და შიმშილისაგან ჩამომხმარნი ძალაზე მიერეკებოდენ ხარებს და გაძლომის მოლოდინში ურმულს დაჰღიღინებდენ:

ჰარიჰარალო, თარალო.....
ერობა, თემი, კომპერატია
წყალმა წაიღო სულ ყველა,
ამ შიმშილის დროს ვერც ერთმა
ჩვენ ვერაფერი გვიშველა!
და სხვ...
ჰაიჰარალო, თარალო.....

მოუსვენარი.

სარედაქციო კოლეგია.
მთავარი რედაქტორი: ხ3. ქედია

თვალების ავადმყოფების
ექიმი
მ. გოლდშტეინი
სათვალეების შერჩევა. ავადმყოფების მიღება დილის 8 ს-დან 11 ს-მდე; საღამოს 2—7 საათამდე.
ნიკოლოზის ქ. № 32.

ექიმი
ისაკ იაკობის-ძე
მინოვიჩი
ლებულობს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ.
ყოველ დღე დილის 10-12 ს. და საღამ. 5-7. ს. ქარვასლის ქუჩა, № 5 (მწვანე ბაზარი) წინა ყოფილი ექ. ჭოლოშვილისა
№ 3208.

დაბრუნდა და გაანახლა ავადმყოფების მიღება.
ექიმი
მ. ო. ზანდუკელი
შინაგან და ნერვების ავადმყ.
ელექტრონით წამლობა.
ავადმყ. მიღება საღ. 5-7 ს, ანასტასიას ქუჩა № 3 ტელეფ. 9—31.
№ 3207.

სამკურნალო
ელექტრონის რენტგენის და სინათ...
მიხეილ ...
დღისით 12—2 საათ. საღ. 6—8
არის საწოლები. ყორღანოვის ქ.
ვერაზე. ტელ. 9—71.
310

## მატარებელთა მიმოსვლა

ლვინობისთვის 10-დან 1920

### თბილისიდან გადის.

| | | |
|---|---|---|
| № 3 ბათომისაკენ | 10 ს. | 58 წ. |
| ბათომში ჩადის | 7 ს. | 27 წ. |
| № 9 ფოთისაკენ | 5 ს. | 34 წ. |
| ფოთში ჩადის | 10 ს. | 45 წ. |
| № 7 ბათომისკენ | 10 ს. | 28 წ. |
| ბათომში ჩადის | 5 ს. | 52 წ. |
| № 19 ბორჯომისკენ | 3 ს. | 19 წ. |
| ბორჯომში ჩადის | 11 ს. | 25 წ. |
| სალოლლისკენ | 7 ს. | 20 წ. დილ. |
| № 4 სანაინისკენ | 8 ს. | დილ. |
| სანაინში ჩადის | 5. ს. | საღ. |
| კახეთისკენ | 8 ს. | 30 წ. |

### თბილისისკენ მოდის.

| | | |
|---|---|---|
| № 10 ფოთიდან | 3 ს. | 51 წ. |
| თბილისში მოდის | 9 ს. | 16 წ. |
| № 4 ბათომიდან | 4 ს. | 9 წ. |
| თბილისში მოდის | 1 ს. | 1 წ. |
| № 8 ბათომიდან | 11 ს. | 37 წ. |
| თბილისში მოდის | 7 ს. | 36 წ. |
| № 20 ბორჯომიდან | 12 ს. | 22 წ. |
| თბილისში მოდის | 7 ს. | 47 წ. |
| სალოლლიდან | 12 ს. | 10 წ. დილ. |
| № 4 სანაინიდან | 7 ს. | 30 წ. |
| თბილისში მოდ. | 3 ს. | 20 წ. |
| კახეთიდან თბილისში მოდ | 8 ს. | 20 |

# საფინანსო კითხვები დამფუძნებელ კრებაში.

(ივლისის 30 სხდ., სტენოგრაფიული ანგარიში).

## ალ. ასათიანის სიტყვა.

(იხ. „საქართველო" № 134.)

(დასასრული)

ჩვენმა მეზობელ რესპუბლიკამ, სომხეთმა გამოსცა სესხი 20 მილიონის დოლარისა. ეს სესხი ჩვენი ფულით 12 მილიარდ მანეთს უდრის. ჩვენ დიდი თანაგრძნობით უნდა ვიყვეთ თუ სომხეთი ამ სესხს კარგად გაანაღდებს და მით თავის ფინანსიურ მდგომარეობას განამტკიცებს. მაგრამ ამ საკითხში ჩვენ უპირველეს ყოვლისა ჩვენი რესპუბლიკის ფინანსიურიდა ეკონომიური ინტერესები უნდა დავიცვათ. საზოგადოდ უცხო სახელმწიფოში სესხის გამოცხადება ასე იოლად არ სწარმოებს იმ ქვეყნებშიც კი, რომელთაც დიდძალი თავისუფალი კაპიტალი აქვთ. არც ერთ უცხო სახელმწიფოში სესხის მიღების ნებართვის მიღება ისე რომ მინისტრმა ...ვაისეირნოს გზაზე, შეიაროს სამინისტროში და აიღოს ნებართვა სესხის გამოცემაზე არსად მომხდარა. რუსეთის ფინანსთა მინისტრები უცხოეთში წინასწარ პრესას აამუშავებდენ, სათანადო წრეებში ნიადაგს შეამზადებდენ, შემდეგ კი სპეციალურად გაემგზავრებოდენ იმ ქვეყანაში, სადაც სესხის შოვას ჰფიქრობდენ. ასე ძნელი იყო უცხოეთში სესხის აღების უფლების შოვნა. (ხმა: ქთამები უნდა გაიღონ?)

ასათიანი: და თუ იმათ ასეთი მუშაობის შემდგომ ქრთამების გაღებაც კი სჭირდებოდათ, აქედან თქვენ დაინახავთ როგორ სიძნელეს წარმოადგენდა სესხის აღება ისეთს ქვეყანეშიც კი სადაც აუარებელი თავისუფალი კაპიტალი მოიპოებოდა. დღეს ყველა ჩვენს ქალაქებში პლაკატებია გაკრული, ჩვენ მოქალაქე გრიგორიანებს მოუწოდებდენ მხოლოდ სომხურს ენაზე: დაეხმარეთ ფინანსიურათ სომხეთსო. ჩვენ ყოველთვის უნდა ვერიდოთ ჩვენი მოსახლეობის ისეთ საქმეებში ჩაბმას, რაც ავნებს ჩვენსა და სომხეთს შორის მეგობრულ განწყობილებას.

(ილ. ლორთქიფანიძე: ისინი ამერიკაშიაც კი აგროვებენ სესხს).

ასათიანი: თქვენ უნდა იცოდეთ, რომ ამერიკისათვის არავითარ საფრთხეს არ წარმოადგენს რამოდენიმე მილიონ დოლლარის უცხოეთში გატანა და იქ უძრავ ქაღალდებში მოთავსება ჩვენ კი უდიდეს ფინანსიურ კრიზისს განვიცდით და თვით ჩვენ გამოვაცხადეთ შინაური სესხი და სამწუხაროდ ვერ გავანაღდეთ. ამავე დროს ჩვენ ხელს უწყობთ, რომ სუსტი ჩვენი კაპიტალები უცხო სახელმწიფოში დაბინავდეს. სესხის მარტო სომხებისთვის გამოცხადებას და ამისთვის სომხურ ეროვნულ საბჭოს მიერ ყველა სომხურ ორგანიზაციათა და დაწესებულებათა დარაზმვას კი უთუოდ დიდი პსიხოლოგიური მნიშვნელობა აქვს. ჩვენსა და სომხებ შორის, ორივე ერის საბედნიეროდ მყარდება სრულიად ლოიალური და მეგობრული განწყობილება.

ხელოვნურად ნუ გვაღვიძებთ იმ განწყობილება, რომელიც აქ მცხოვრებ სომხების ერთ ნაწილში არსებობდა და რომელიც უკვე ისპობა ორივე ხალხის საკეთილდღეოთ. საქართველოს ყველა მოქალაქე ქართველია ის თუ სომხი, სწორ უფლებანი წევრია ჩვენი რესპუბლიკის და ჩვენ უნდა ვერიდოთ ისეთი ფსიხოლოგიური ურთიერთობის შექმნას როდესაც საქართველოს მოქალაქე სომხები რაღაც განსაკუთრებულს დამოკიდებულებაში იქნებიან მეზობელ სახელმწიფოებთან.

ჩვენ ზევით უკვე აღვნიშნეთ, რომ ფინანსთა უწყება ვერ აწარმოებს მტკიცე პოლიტიკას და სხვა უწყებები მას ხელიდან სტაცებენ. რაც კი მათ მოესურვებათ, თითქოს ამ სამინისტრომ სრულიად დაკარგა ყოველივე ინიციატივა და გულხელ დაკრეფილი მიყობა ცხოვრების ტალღებს. ევროპის ქვეყნებში კი მმართველობის სადავე სწორედ ამ უწყებას უკავია ხელში. ეს უწყება თუ მცირე სიმტკიცეს გამოიჩენდა, ზოგიერთი, ფინანსიური ეკონომიური ლონისძიება მას აუცილებლივ უნდა მიეღო.

### იმპორტის შეზღუდვა.

თქვენ მოგეხსენებათ, რომ ექსპორტის მოწყობას თუ დიდი შედეგის მოტანა შეუძლიან.

იმპორტის მოწესრიგებასაც არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს. ყველა ის საქონელი, რომელიც უცხოეთიდან შემოდის ჩვენ უნდა დავფაროთ უცხო ვალიუტით, ნედლი მასალით თუ რაიმე სხვა რეალ ღირებულობითა ცხადია, რომ რამდენი მეტი საქონელი შემოვა იმდენი მეტი ეკვივალენტი დაგვჭირდება. ამ ნიადაგზე საშინელს კრიზისს განიცდის ჩვენი სავაჭრო ბალანსი. ჩვენ უნდა ვიზრუნოთ რაც შეიძლება შევამციროთ იმპორტი. ამ მიზნით, ჩვენ დიდი ბაჟები დავდევით ფუფუნების საქონელს, მაგრამ ასეთს საქონელს რაც უნდა დიდი ბაჟი დაადოთ ის მაინც შემოვა. ვინც ფუფუნების საგნებს იძენს, ის ფასების წინაშე არ ჩერდება. ამ მხრით საფრანგეთმა გონივრული ზომები. მიიღო. რადიკალური ზომით ამა წლის 26 აპრილის დეკრეტით სრულიად აღკრძალეს თითქმის 1500 თავი საქონლის შეტანა რესპუბლიკაში. თავისუფლად შეჰქონდათ მხოლოდ ნედლი მასალა და სურსათი. სამი თვის განმავლობაში საფრანგეთის სავაჭრო ბალანსი იმდენად გაუმჯობესდა, რომ ფრანკის კურსმა თითქმის 60 პროც. აიწია და ამის შემდგომ აღკრძალულ საქონლის რიცხვიც შეამცირეს, მილიერანმა განაცხადა: შეზღუდვის შემსუბუქება შესაძლებელი გახდა ვალიუტის საგრძნობლივ გაუმჯობესების გამოვა. ჩვენ მთავრობას დღემდის ვერ მოუხერხებია ფუფუნების საგნების შემოტანის აღკრძალვის პროექტის შემუშავება და წარმოდგენა ჩვენთვის, თუმცა ამის შესახებ არა ერთხელ გამოთქმულა სურვილი აქ, პრესაში, თუ სავაჭრო სამრეწველო პალატაში.

**დადიანი:** „კოსმოსს" არ შემოუტანია ფუფუნების საგნები?) ალბათ შემოიტანა „კოსმოსმაც" და სხვებმაც.

**დადიანი:** ხომ იცნობთ „კოსმოსს" როგორი პირობები დაუდვა მან ჩვენ მთავრობას?

**ასათიანი:** მე ვიცნობ, როგორც „კოსმოსს", აგრეთვე სხვა პირობებსაც, მაგრამ ყოველ შემთხვევაში „კოსმოსთან" ჩვენ სასაყვედურო არაფერი გვაქვს, რადგან მას ჩვენი მთავრობა არ მოუტყვილებია, როგორც ეს სხვებმა ქნეს. მან ჯერ შემოიტანა საქონელი, მისცა ნისიად მთავრობას და შემდეგ გაიტანა სამაგიერო ეკვივალენტი.

### ჩვენი ფული.

ბ. ბ. მე გაკვრით შევეხე ჩვენი ეკონომიურ-ფინანსიურ პოლიტიკის უმთავრეს დეფექტებს. წინასწარ და გადაჭრილად შევვიძლიან ვთქვათ, რომ ასეთს ეკონომიურს პირობებში რაც უნდა მტკიცე ფულის სისტემა იყოს, უთუოდ დაიშლება. ამ სამი წლის განმავლობაში ოქროს ვალიუტაც რომ გვქონდეს, ჩვენის ფული ფასი მაინც დაეცემოდა. ოქრო გაიზიდებოდა უცხოეთში შემოზიდულ საქონლის საფასურად. იძულებული ვიქნებოდით ქაღალდის ფულზე გადავსულიყავით და ისიც დაიწყებდა დაცემას პროპორციულად ჩვენი სავაჭრო ბალანსის პასსივისა და ემისიის გაძლიერებისა. ამ ჟამად ჩვენი ვალიუტის მდგომარეობა მძიმე და კატასტროფიულია. და ეს სრულიად შლის ჩვენს ეკონომიურ ცხოვრებას. ირღვევა კრედიტი, ვინაიდან არ არის მტკიცე ფული) ვაჭრობაში იშლება ნორმალური ურთიერთობა და შეუძლებელი ხდება ვაჭრული ანგარიში და გამორკვევა იმის თუ რა ფასში შეიძლება დაუზარალებლად შეძენილი საქ. გასაღება. ფულის კურსის დაცემის გამო ყველა ცდილობს თავის დაზღვევას და ამის გამო ზედმეტ ფასებს ადებს საქონელს. ამის დასამტკიცებლათ, თუ როგორ სწრაფად ეცემა ჩვენი ვალიუტა მოგიყვანთ ზოგიერთ მაგალითებს. როდესაც ჩვენში ინგლისელები შემოვიდნენ, მაშინ გირვანქა სტერლინგი 40 მ. ფასობდა. მაშინ ჩვენი სავაჭრო ბალანსიც სწორი იყო. ამისთანავე ევროპასთან სავაჭრო დამოკიდებულება თითქმის სრულიად არ გვქონდა დაწყებული. დავიწყეთ ევროპასთან ვაჭრობა. დაუბრკოლებლივ დაიწყო აუარებელი უცხო საქონლის შემოტანა. დიდი ნაწილი საქონლის არ იყო პირველი მოთხოვნილების. სავაჭრო ბალანსის სწორწონაობა დაირღვა. ამას თან დაერთო ბონების საბეჭდავი მანქანის მუშაობის უფრო და უფრო გაცხოველება. ამის მიხედვით ეცემა ჩვენი ბონების ფასი. 1918 წ. ნოემბერ—დეკემბერში თუ გირვანქა სტერლინგი 40 მან. ფასობს, იანვარში უკვე სტერლინგი 50 მან. უნდა მისცეთ. თებერვალში უკვე 100 მან. მარტში 150 მ., აპრილში 190 მან.; ივლისში—350 მ.; ოქტომბერში—620, ამა წლის იანვარში—890, აპრილში—1042 მან.; მაისში—1,250 მან. მაისიდან იწყება უფრო სწრაფი ნახტომები. სხვა მიზეზებთან ერთად ამას უთუოდ ხელი შეუწყო ბოლშევიკურ რუსეთთან ეკონომიურ დაახლოვებამ. რუსეთის ეკონომიურ უდაბნოდა სიცარიელეს უახლოვდება ჩვენი რესპუბლიკა. ივნისში სტერლინგი ღირს 1,450 მან., 15 ივლის 195 და 20 ივლისიდან მისი ღირებულობა 3,300—4,000 მან. აღწევს, ამ რიგად რაღაც 10—11 თვის განმავლობაში ჩვენი ბონის ფასი ეცემა 10,000 პროც., ანუ ასჯერ.

ჩვენი ფულის სწრაფად დაცემაში ამ უკანასკნელ თვეების განმავლობაში უთუოდ დიდი როლი ითამაშა აგრეთვე მოსკოვთან დადებულმა ხელშეკრულობამ. ეს ხელშეკრულობა ყოველმხრივ მიღებულია და ეკონომიური მისი შედეგები უთუოდ ისეთია, რომ ჩვენ დაუახლოვდით ეკონომიურად უდაბნოთ ქცეულ რუსეთს, შევედით მის ეკონომიურს სფეროში. ამ უდაბნოსთან ასე დაახლოვება, რასაკვირველია, საჭირო არ იქნება პატარა ოაზისისთვის, როგორც თქვენ საქართველოს უწოდებთ. ჩვენმა ფულმა უკვე იგრძნო რუსეთის დაახლოვება.

ბათომის შემოერთებამ, აგრეთვე სარგებლობის მაგიერ ზიანი მიაყენა ჩვენს ფულს. ეს მხოლოდ იმით აიხსნება, რომ ბათომის შემოერთების დროს ფინანსთა და ვაჭრობა მრეწველობის სამინისტრომ საჭირო ნაბიჯები არ გადადგა. ჩვენი მტრები უცხოელ ვაჭარ მრეწველთა წრეში ჩვენს შესახებ პროვოკაციულ ხმებსავრცელებდენ: მოდის საქართველო თავის რეკვიზიციით, ტაქსებით და სხვა სოციალისტურ ექსპერიმენტებითო. საჭირო იყო ამ პროვოკაციის გაბათილება და სათანადო დეკლარაციას გამოცემა, რომ ბათომში შემოსული საქონელი უზრუნველყოფილია რეკვიზიციისაგან, რომ უცხოეთის ეკონომიური დენა ბათუმისაკენ შეზღუდული არ იქნებოდა და სხ. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ბათომი ჩვენთვის ძვირფასია არა როგორც ტერიტორიის ერთი ნაჭერი, არამედ როგორც მსოფლიო ნავთსადგური, ევროპა აზიის ეკონომიური ურთიერთობის გასაღები.

### ჩვენ და ევროპა.

აქ ხშირათ მსოფლიო ომით და საერთაშორისო მდგომარეობით ასაბუთებენ ჩვენს ეკონომიურ კრიზისს. ამბობენ: ევროპაშიაც ასეთივე მდგომარეობაო. მაგალითებიც მოიყვანეს—ფულის კურსი იქაც ეცემაო. ერთი მაგალითი მეტად კურიოზული იყო. ომის გათავებისას სტერლინგში 68 ფრანკს იძლეოდენ, ეხლა კი მხოლოდ 46 ფრანკსო. მაშასადამე სტერლინგის ფასი დაეცაო. სინამდვილეში კი სულ სხვაა. სტერლინგის ფასმა აიწია და თითქმის მიაღწია ნორმალურ კურს. და თუ ეხლა სტერლინგში უფრო ცოტა ფრანკებს იძლევიან, ეს იმიტომ რომ ფრანკი მეტად დაცემული იყო და უკანასკნელ ხანებში დიდათ აიწია. ასევეა გერმანული მარკებიც.

თუ გირვანქა სტერლინგი გერმანიის ფულებზე 360 მარკას უდრიდა ერთს დროს, ამ ჟამათ უდრის მხოლოდ 140 მარკას.

**ე. გეგეჭკორი:** ეს პოლონეთის და მარცხების შემდგომ.

**ასათიანი.** არა, ბატონო, ჩემი ცნობები უფრო ადრინდელი დროისაა ასევე მტკიცდება ბელგიის და სხ. მეომარ ქვეყნების ვალიუტა. ეხლა აიღეთ თუ გნებავთ, პოლონეთი, ესტონია, ლატვია. ამ ქვეყნების ფულიც გაცილებით უფრო მტკიცეა. ამ რიგად ერთის მხრივ ჩვენი ვალიუტა, რომელიც სწრაფად ეცემა, მეორეს მხრით ინგლის-საფრანგეთ—გერმანიის ვალიუტა, რომელიც თან და თან მაღლა იწევს და ძველ ნორმალურ მდგომარეობას უბრუნდება.

თუ ომია ჩვენი ეკონომიური კრიზისის მიზეზი, ომმა ყველაზე უფრო სწორედ ეს სახელმწიფოები დააზარალა. იქ ომის დასრულების შემდგომ, როგორც ვნახეთ, ეკონომიური ვითარება უმჯობესდება. ჩვენში კი სწორედ ამ მსოფლიო ომის გათავების შემდგომ ცხოველდება ეკონომიური მდგომარეობის გაუარესების პროცესი. ამ მხრივ ჩვენ მხოლოდ ბოლშევიკები გვიწევენ ამხანაგობას. ჩვენმა თავმჯდომარემ, ხომ გახსოვთ, დეპეშაც გაუგზავნა ლენინს: ხელი ხელ ჩაკიდებული წავიდეთ წინ სოციალიზმის დასამყარებლადო. დამეთანხმეთ, რომ ასეთს განცხადებასაც დიდი მნიშვნელობა ექნებოდა ევროპის თვალში ჩვენი ფინანსების სახელის გატეხის საქმეში.

**დადიანი:** თქვენმა ამხანაგმა მაჭავარიანმა აკი უწოდა ჟორდანიას ნოე აღმაშენებელი?

**მაჭავარიანი:** მე ვსთქვი, რომ მე ვისურვებ საქართველოსათვის ნოე ჟორდანია გახდეს ნოე აღმაშენებელითქო. ამას ახლაც ვისურვებ.

**ასათიანი:** თუ ჩვენ გვინდა ევროპის გზით სიარული, მაშინ უნდა შევეთვისოთ ევროპის ეკონომიურ პოლიტიკას. ჩვენი მთავრობის პოლიტიკა კი არ არის შეთვისებული ევროპის პოლიტიკასთან, ეს კი დიდ გავლენას ახდენს ჩვენს პოლიტიკაზე. კერძოთ და მთელს ეკონომიურ ვითარებაზე საზოგადოთ.

და თუ ჩვენ ევროპის ეკონომიურ პოლიტიკას დავადგებით, ეკონომიურ განსაცდელისაგან თავის დასაღწევათ ჩვენც გამოვნახავთ იმ გზებს, რომელზედაც ბ. ჟორდანია ამბობდა ერთს თავის მოხსენებაში. უწინარეს ყოვლისა ჩვენ მივიღებთ ზომებს ნამდვილი ბიუჯეტის შესადგენათ. დღეს ჩვენ გვაქვს მხოლოდ ხარჯები, შემოსავალი კი თითქმის არავითარი, ასე კი სახელმწიფო დიდხანს ვერ გასძლებს. უნდა მოეწყოს წესიერი აპარატი გადასახადების შესაკრებად ეს მოგვცემს საშუალებას შევამციროთ განუსაზღვრელი ბონების ბეჭდვა. ამის შემდგომ ჩვენ უნდა მოვსპოთ ყველა ის დაბრკოლებანი, რომელნიც ჰკორკავენ ჩვენს სასოფლო მეურნეობას, მრეწველობას და წესიერ აღებ-მიცემობას. უნდა შევიგნოთ, რომ თუ სახალხო მეურნეობა დამბლადაცემული დარჩა, სახელმწიფოს ფინანსები ვერ გამოსწორდება. განსაკუთრებულ ყურადღება უნდა მივაქციოთ ჩვენს საგარეო ვაჭრობას. ექსპორტი უნდა გავაცხოველოთ. ბიუროკრატიულად მოწყობილმა მონოპოლებმა არ გაამართლეს თავისი დანიშნულება. საჭიროა ექსპორტის საქმე მოგვარდეს იმ წრეებთან შეთანხმებით, რომლებსაც სათანადო ცოდნა, გამოცდილება და კაპიტალი აქვთ.

საჭიროა იმპორტის შეზღუდვა. ფუფუნების საგნების შემოტანა სრულიად უნდა აღვკრძალოთ. ფუფუნებაზე ვიზრუნოთ მაშინ, როდესაც ჩვენი ეკონომიური მდგომარეობა გამოსწორდება. ამის გარდა საჭიროა, ბატონებო, დაუყოვნებლივ შევუდგეთ უფრო საფუძვლიან მოლაპარაკებას ევროპის კაპიტალისტებთან, რომ ისინი მოვიზიდოთ ჩვენსკენ ჩვენ მეტად სუსტი ვართ კაპიტალით, ტეხნიკით, გამოცდილებით. ამ ორი წლის განმავლობაში ჩვენი კაპიტალი კიდევ უფრო მცირდება, ვინაიდან ხდება კაპიტალის ემიგრაცია. სოციალისტური ექსპერიმენტებით დაშინებული მწარმოებელნი უცხოეთში იხიზნებიან. თუ ზომები არ მივიღეთ ეს ემიგრაცია კიდევ უფრო გაძლიერდება და გაიტანენ აქედან დიდ სიმდიდრეს სხვა ნივთების და ხორ—გარდ ნენ ძვირ ნივთებ, სავალიუტო საქონელს და ეს კი გამოიწვევს ჩვენს ეკონომიურ ... ლატაკებას, მაშასადამე, ამ მხრივაც საჭიროა სათანადო ნაბიჯების გადადგმა, შევქმნათ ისეთი პირობები, რომ მეწარმენი კი არ იხიზნებოდენ აქედან, ამიდ მოდიოდენ ჩვენში. მაშინ გვეძლება მაქსიმუმ სარგებლობისა ლოთ მათი მუშაობიდან ჩვენი ... სიმდიდრის აღმოძრავებლად.

თქვენ მოგეხსენებათ, რომ ბოლშევიკებმა სრულიად გაანადგურეს და კი ამოჟლიტეს თავის კაპიტალისტები. ნი მალე დარწმუნდენ, რომ ქვეყ ეკონომიური აყვავება დეკრეტებით ცარიელი ლოზუნგებით არ შეიძლება. ეხლა ისინი სანთლით ეძებენ ამ კაპიტალისტებს. ევროპის კაპიტალის მიხლ მოდრეკით ეთაყვანებიან: მოდით ხელს არ ვახლებთ თქვენ ქონე ოღონდა აამოძრავეთ ჩვენგან განადგურებული ეკონომიური ცხოვრებაო. ტენიკო, ნუ დავემზგავსებით მათ. ... ზე შევქმნათ ისეთი პირობები, როგორც ჩვენს აგრეთვე უცხოელ მოიებელთა ჩვენში ქვეყნისთვის სასარგებლო წარმოება დაწყება შეეძლოთ.

**თავმჯდომარე ბ. ორატორო!** თქვენ დრო გავიდა.

**ალ. ასათიანი.** ... ვიხდი, ეხლავე გავათავებ. აი ბატონებო, ამ კითხვების შესახებ უსათუოდ უნდა ამ მოთ მოლაპარაკება. ჩვენ დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ აგრეთვე თემს. სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ ამ ორი წლის განმავლობაში, ინგლისელების დროს, ბათომი დიდ საერთაშორისო ნავთსადგურათ დაიქცა. ამას ხელი შეუწყო აგრეთვე გარემოებამ, რომ შავს ზღვაზე სხვა ბოლს აქეთ ყველა ნავთსადგურები ქმნილი იყო რუსეთის ანარქიის გამო ჩვენ უნდა ვისარგებლოთ ასეთი პირობებით და სამუდამოთ განვამტკიცოთ თომს დიდი საერთაშორისო ნავთსადგურის მნიშვნელობა. მაგრამ, ჩვენი დღევანდელი პოლიტიკა თუ გაგრძელდება, ბათომი ისევ პატარა ღაბად გადაიქცევა ის უდიდესი ზიანი იქნება ჩვენი ქვეყნისთვის. საჭიროა დაუყონებლივ გადავდგათ სათანადო ნაბიჯები და ვამცნოთ ევროპას, რომ ბათუმის ნავთსადგურის მათი ეკონომიური დამოკიდებულება სრულიად თავისუფალი და უზრუნველყოფილია. თვით ნავთსადგური პორტო ფრანკოდაც რომ გამოვაცხადოთ ... ბით, ეს ჩვენთვის სასარგებლოც იქნება მრავალი მსოფლიო ნავთსადგური როგორიცაა ჰამბურგი, მარსელი, ტრიესტი, ოდესსა და სხ. დროებით პორტო ფრანკოდ გადაქცევით გაძლიერდენ და გახდენ უდიდეს ნავთსადგურებათ. ბათომისთვის საჭიროც არ იყვეს მთელი ნავთსადგურის პორტო ფრანკოდ გამოცხადება დროებით და საკმარისია მისი წესიერი სატრანზიტო პირობების გამომუშავება. ყოველს შემთხვევაში ფრიად სასწრაფოა ბათომის სავაჭრო პირობების გამომუშავება. სხვა ზომებს აქ ფილარ აღვნიშნავ და დასასრულ მინდა ვთქვა კიდევ, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის გამოსწორება მხოლოდ სახალხო ბიუჯეტის გაჯანსაღებით და ეროვნული მეურნეობის აღორძინებით შეიძლება.